ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

შაბათი – კვირა, 29 – 30 სექტემბერი, 2018

№231 (7776)

ფასი: 60 თეთრი

გვ.7

ხატია მოისწრაფიშვილი: „შემოსავლების სამსახურს „ომეგა ჯგუფის“ დაყადაღებული ქონების რეალიზაციის უფლება მიეცა“

ნოდარ ხადური: „ლონდონში წასვლის და ადვოკატის ფული არ მაქვს“

გვ.7

„ოცნების“ ლიდერები პარტიის დატოვებით იმუქრებიან

გვ.2

იქნება თუ არა სანთლების რევოლუცია

ირაკლი ოქრუაშვილი: „ბიძინა მთელ სინოდს გადააგდებს“

გვ.3

გვ.3

გიორგი გუგავა: „ხელისუფლება თუ გაყალბებაზე წავა, ძალიან მძიმე შედეგს მიიღებს“

რამაზ საყვარელიძე: „ფარული ჩანაწერები არჩევნებს უკავშირდება“

გვ.4

პეტრე მამრაძე: „რუსეთი აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარებას უკან არ წაიღებს“

გვ.5

მამუკა გვაძაბია: „ჩვენ აფხაზეთი მხოლოდ დროებით დავტოვეთ“

გვ.4

შალვა ოგბაიძე: „თავიდანვე იყიდონ თეთრი ტაქსები და პრობლემა არ ექნებათ“

გვ.6

გვ.4

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსი ფიჯის რესპუბლიკის თავდაცვისა და უსაფრთხოების მინისტრს შეხვდა

სამართალი გვ.7

კომპანია „კოლორპაკი“ პროკურატურას დოკუმენტებს 1 ოქტომბერს გადასცემს

რუსთავში 5 თვის ბავშვი გარდაიცვალა

მშობლებს და პოლიციას შორის დაპირისპირება მოხდა

ეკონომიკა გვ.6

ბიზნესომბუდსმენი: „მივმართავთ შრომის ინსპექციას, რეესტრში რეგისტრაციის მდგომარეობის შემოწმება და სანქცირება გონივრული ვადით გადადოს“

ერთ თვეში საბანკო სისტემის სადეპოზიტო ვალდებულებები 5.1%-ით გაიზარდა

„სავაჭრო პარტნიორების ვალუტებთან ლარი სტაბილურობას ინარჩუნებს“

ISSN 1987-9385

5 სოხუმში შევარდნაძის დაკავება იგეგმებოდა, მაგრამ არძინბამ ოპერაცია შეაჩერა

3 სალომე ზურაბიშვილი ოპონენტებს დებატებში იწვევს — „ამ შავი ძალის ორივე სახეს ვიწვევ ამ დებატებზე“

2 საწვავი კიდევ გაძვირდა

7 შსს-მ მალხაზ კობაურის ხადას ხეობაში ჩაყვანასა და დაკითხვაზე უარი განაცხადა

„ოცნების“ ლიდერები პარტიის დატოვებით იმუქრებიან

შორენა მარსაგიშვილი

„ომეგა ჯგუფის“ გარშემო ატეხილი აჟიოტაჟი შესაძლოა „ოცნებაში“ განხეთქილების მიზეზი გახდეს. კანაფის გამო აქ უთანხმოება ისედაც არ აკლიათ, მაგრამ „ომეგას“ ამბები კიდევ უფრო დაძაბავს ვითარებას.

მიუხედავად იმისა, რომ ბოლო დღეებში არაერთი სკანდალური ჩანაწერი გამოქვეყნდა და „ომეგა“ ლონდონის სასამართლოში ჩივის, „ოცნების“ ბოსები უმწიკვლო გამომეტყველებით აფახულებენ წამწამებს და აცხადებენ, მაგას ჩვენ როგორ ვიკადრებთო.

„ოცნებაში“ ყველას არ სჯერა, რომ მათი თანაგუნდელები უკადრებელს არ იკადრებდნენ. დეპუტატების ნაწილი სასწრაფო გამოძიების ჩატარებას და ფარული აუდიო ჩანაწერების ავთენტურობის დადგენას ითხოვს.

ამ სკანდალის გამო მმართველი პარტია, შესაძლოა, ორმა დეპუტატმა, რომან კაკულიამ და აკაკი ზოიძემ დატოვონ. სახელისუფლებო კულუარებში ამბობენ, რომ მათ აზრს სხვა დეპუტატებიც იზიარებენ, მაგრამ ისინი ხმამაღლა თავისი პოზიციის დაფიქსირებისგან ჯერ თავს იკავებენ.

სამაგიეროდ, ხმამაღლა გაჰკივიან „ოცნების“ ჩინოსნების უმწიკვლობაში დარწმუნებული დეპუტატები. გია ვოლსკი და ზვიად ძიძიგური მზად არიან, თავი დადონ, რომ „ოცნების“ ჩინოსნები უკადრებელს არ იკადრებდნენ.

პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარე რომან კაკულია ჟურნალისტებთან საუბარში აცხადებს, რომ „იბერიასთან“ და „ომეგასთან“ დაკავშირებული ჩანაწერების გავრცელების გამო შეშფოთებულია.

„ოცნების“ ერთ-ერთი ლიდერის აზრით, მიუხედავად იმისა, რომ ჩანაწერის ყველა ფიგურანტი უშუალო კავშირში არ არის ხელისუფლებასთან, ეს „ოცნების“ მმართველობის პერიოდში ხდება და ამიტომ ყველა კითხვას პასუხი უნდა გაეცეს.

კაკულია ჟურნალისტებთან საუბარში ამბობს, რომ აუდიოჩანაწერებს გულგრილად ვერ მოუსმენს, რადგან „ოცნება“ პირდაპირ თუ არაპირდაპირ კავშირს ამ თემასთან ვერ აიცილებს.

დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტის თავმჯდომარის თქმით, ხელისუფლება ვალდებულია, ყველა კითხვას პასუხი გასცეს.

იმ შემთხვევაში, თუ დადგინდება, რომ ჩინოსნები უკანონობას სჩადიოდნენ, დეპუტატი პარტიას დატოვებს.

– ძალიან მნიშვნელოვანი რეფორმების გატარების მიუხედავად, ჩვენ ვერ შევქმენით დღემდე სასამართლო გადაწყვეტილებათა ის ხარისხი, როდესაც შეგვიძლია მშვიდად დაველოდოთ სასამართლოს გადაწყვეტილებას და ეს ტრაფარეტული ფრაზა იყოს აბსოლუტური ჭეშმარიტების გამომხატველი. სხვა არჩევანიც არ გვაქვს. იმედია, აბსოლუტურად ჯანსაღად წარიმართება გამოძიებაც, სასამართლომდეც უნდა მივიდეს და საზოგადოებას კითხვები არ დარჩება ამ ნამდვილად შემაშფოთებელი ტექსტებისგან, რომლებსაც ჩვენ ყოველდღე ვისმენთ.

ნამდვილად არ მინდა, ვიყო გუნდის წევრი, რომელიც შეიძლება დაკავშირებული იყოს ასეთი ტიპის საქმიანობებთან. ეს ყველაფერი თუ გამოაშკარავდება და გახდება რეალობა, მივიღებ შესაბამის გადაწყვეტილებასაც და დავტოვებ პარტიას.

„ქართულ ოცნებას“ საზოგადოების მხრიდან ის დიდი მხარდაჭერა აღარ აქვს და მე ძალიან კარგად ვიცი ჩვენი მოსახლეობის განწყობა. მე ვხვდები და ვესაუბრები მათ. ამიტომ ძალიან ბევრ კითხვაზე პასუხის გაცემა და ახსნაა საჭირო, – ამბობს რომან კაკულია.

მას ხორავას ქუჩაზე მომხდარი მკვლელობის საქმეზეც აქვს კითხვები. დეპუტატი მიიჩნევს, რომ არ შეიძლება შვილმოკლულ მამას უთხრა, მტკიცებულებები არ მაქვს და მკვლელს ამიტომ ვერ დავიჭერო.

– სიმართლე გითხრათ, ხორავას ქუჩაზე მომხდარ მკვლელობაზე პროკურატურის მუშაობით კმაყოფილი არ ვარ და ასეთი განწყობა ძალიან ბევრ ჩემს თანაპარტიელს აქვს, მაგრამ ალბათ ამ უწყებასაც აქვს გარკვეული მიზეზები, რის გამოც ვერ ხერხდება თუნდაც სარალიძის საქმეზე ამომწურავი პასუხების გაცემა. უფრო არაკომპეტენტურობის ბრალი მგონია, რასაც ცვლილებები სჭირდება. წარმოუდგენელია, შვილმკვდარ მამას გამოხვიდე და უთხრა, უკაცრავად, მტკიცებულებები ვერ ვიპოვეთ და სახლებში დავიშალოთო, – განაცხადა „ოცნების“ ერთ-ერთმა ლიდერმა.

ის იხსენებს იმას, თუ როგორ მოხვდა „ქართულ ოცნებაში“. კაკულიას თქმით,

მისთვის ის ღირებულებებია მნიშვნელოვანი, რითაც „ოცნებასთან“ ერთად მოვიდა ხელისუფლებაში 2012 წელს.

სკანდალური ჩანაწერები ჯანდაცვის კომიტეტის თავმჯდომარე აკაკი ზოიძესაც აწუხებს. გამოძიებას ისიც ითხოვს. იმედს იტოვებს, რომ „ოცნების“ ჩინოსნები უდანაშაულო არიან.

– მე რომ მჯეროდეს, რომ ხელისუფლება ჩართულია სისტემურ კორუფციაში, „ქართული ოცნების“ წევრი არ ვიქნებოდი და უფლებამოსილებას მაშინვე მოვიხსნიდი, თუმცა მტკიცედ მჯერა, რომ ეს ასე არ არის. დაველოდოთ გამოძიების შედეგებს. ჩემი აზრით, გამოძიება სწრაფად ჩატარდება. – აღნიშნავს ზოიძე.

მის განცხადებას „ოცნებაში“ გაგებით მოეკიდნენ, კაკულიას კი მოჭარბებული ემოციები დაუწუნეს.

დეპუტატ ზვიად ძიძიგურის თქმით, რომან კაკულიას თავისი ემოცია და შეხედულებები აქვს.

ამ ემოციებმა ძიძიგურის ნაციონალები და მათი მმართველობის 9 წელი გაახსენა. ეს მმართველობა მისთვის უცხო არ არის – ამ სისხლიანი 9 წლიდან მინიმუმ 1 წელი ძიძიგური რეჟიმის ნაწილი იყო.

ახლა ამბობს, რომ 9 წლის განმავლობაში საჯარო სივრცეში რაღაც ჩანაწერები ვრცელდებოდა, რომლებზეც შემდეგ პოლიტიკური პროცესი მიმდინარეობდა. ამიტომ ასეთი ჩანაწერების მიმართ ერთგვარი იმუნიტეტი აქვს გამომუშავებული.

ძიძიგურისთვის ახლა ძალიან მნიშვნელოვანია, პროკურატურა რა განცხადებას გააკეთებს და გამოძიებით რა ფაქტები გამოვლინდება.

– პროკურატურა აქტიურობს და როცა სათანადო მტკიცებულებები ექნება, განცხადებას გააკეთებს.

ჩემი აზრით, გამოძიებას და მოვლენებს წინ არ უნდა გავუსწროთ. სასამართლოს უმაღლეს წერტილამდე აყვანას 200 წელი უნდა, როგორც ეს ამერიკასა და ევროპის ქვეყნებშია. დღევანდელი სასამართლო ცა და დედამიწასავით განსხვავდება იმისგან, რაც ჩავიბარეთ. პროცესების 99,9% გამამტყუნებელი იყო და პროკურატურის ბრალდებებს ემთხვეოდა. ეს ჩავიბარეთ და დღეს სასამართლო სისტემა გაცილებით წინ წასულია, – განაცხადა ჟურნალისტებთან საუბარში ზვიად ძიძიგურმა.

ვიცე-სპიკერი გია ვოლსკი ცოცხალი თავით არ იჯერებს, რომ ჩინოსნებს რამეზე წაუცდათ ხელი. მისი განცხადებით, ბიზნესზე ზეწოლა რომ ხდებოდეს, ის და რომან კაკულია ნაცმოძრაობის წევრები იქნებოდნენ.

მისი თქმით, კაკულიას განცხადება მხოლოდ ერთ ჭრილში განიხილება და არავინ აქცევს ყურადღებას მის ფრაზას, კაკულია დარწმუნებულია, რომ „ქართულ ოცნებაში“ მსგავსი რამ არ ხდება.

შექმნილ ვითარებას ოპოზიცია სხვა თვალით უყურებს. „ევროპული საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერის, ირმა ნადირაშვილის, აზრით, ჯობია, კაკულიამ ახლავე დატოვოს „ოცნება“, რადგან სულ ცოტა საღი აზრია საჭირო იმის მისახვედრად, რომ ხელისუფლება რეკეტს ახორციელებს.

– არ ველოდები, რომ პროკურატურა ამ საქმეზე გამოძიებას დაასრულებს და რამე შედეგს დადებს. მე მივესალმები ბატონი კაკულიას განცხადებას, რომ თუ მან პროკურატურისგან გაიგო, რომ აქ არის დანაშაულის ნიშნები და ეს ჩანაწერები არ არის მონტაჟი, ის მიიღებს გადაწყვეტილებას, იყოს თუ არა ამ სახელმწიფო რეკეტის მონაწილე. კი ბატონო, კაკულიას შეუძლია, დაელოდოს ოფიციალური გამოძიების შედეგებს, მაგრამ ძალიან მცირე საღი აზრია საჭირო იმისთვის, რასაც ჩვენ ყოველდღე ვისმენთ, დავრწმუნდეთ, რომ დიახ, „ქართული ოცნება“ ახორციელებს რეკეტს, – განაცხადა ირმა ნადირაშვილმა რუსთავი 2-თან საუბრისას.

რომან კაკულიას განცხადებას დადებითად აფასებს ნაცმოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი რომან გოცირიძე.

მისი თქმით, მმართველი გუნდის წევრის მხრიდან მსგავსი კომენტარი მორალურ პასუხისმგებლობაზე მიუთითებს.

გოცირიძის თქმით, „ქართული ოცნებიდანაც“ გამოჩნდებიან ისეთი პირები, ვინც რომან კაკულიას მსგავს განცხადებას კიდევ გააკეთებენ.

– „იბერიის“ და „ომეგას“ საქმეები ეს არის ერთ-ერთი გამოვლინება. მიაყენეს ადამიანი კედელზე და იძულებული გახდა, ყველაფერი ეთქვა და ეჩვენებინა, მაგრამ ასე რომ არ მომხდარიყო და გარიგებოდა ეს ბიზნესი და ხელისუფლება ერთმანეთს?! ეს არის მხოლოდ ზედა მხარე.

ყველა სფეროში ასეა. ასეა ნავთობის იმპორტიორებთან დაკავშირებით, რომლებიც იხდიან უზარმაზარ ფულს ხელისუფლების ჩინოვნიკებისათვის. ასევეა ფარმაცევტულ ბიზნესში, ასევეა იმ მრავალმილიარდიან ტენდერებში, რომლებშიც იმარჯვებენ ხელისუფლებასთან დაკავშირებული ფირმები.

არავინ გადაჰყვება ივანიშვილს და „ქართულ ოცნებას“ სამარეში, გამოჩნდებიან ადამიანები, რომლებსაც შეექმნებათ დისკომფორტი და, როგორც ჩანს, პირველი ნიშნები უკვე არის პარლამენტში, – განაცხადა გოცირიძემ.

საწვავი კიდევ გაძვირდა

მიმდინარე თვეში საწვავი კვლავ გაძვირდა. კერძოდ, ზოგიერთი ტიპის საწვავის ფასი ზოგიერთ ბრენდირებულ სადგურზე 5 თეთრით არის დაკორექტირებული.

მათ შორის, 26 სექტემბრიდან გაძვირდა დიზელი „გალფის“ ავტოგასამართ სადგურებზე. კერძოდ, 27 სექტემბრის მდგომარეობით, 5 თეთრით არის გაძვირებული ევრო დიზელი და 2.54 ლარი ღირს; ასევე 5 თეთრით არის მომატებული ევრო დიზელის ფასი და 2.62 ლარი ღირს. ამასთან, დღეის მდგომარეობით, 1 ლიტრი „G-Force პრემიუმის“ ფასი 2.55 ლარია, მაშინ როცა 4 სექტემბრის მდგომარეობით, მისი ფასი 2.51 ლარი იყო; 25 აგვისტოსთან შედარებით, 3 თეთრით არის გაძვირებული „G-Force ევრო რეგულარი“ და 2.45 ლარი ღირს; 1 ლიტრი „რეგულარის“ ფასი 2.37 ლარიდან 2.39 ლარამდე გაიზარდა; ხოლო „სუპერის“ ფასი 2.61 ლარია.

„ვისოლის“ ავტოგასამართ სადგურებზე დღეის მდგომარეობით, „ეკოპრემიუმის“ ღირებულება 2.60 ლარია; 1 ლიტრი „ევრო რეგულარის“ – 2.52 ლარი; „ეკო სუპერი“ – 2.68 ლარი ღირს; „დიზელ ენერჯის“ ფასი – 2.52 ლარს შეადგენს; „ეკო დიზელის“ ტიპის საწვავის ფასი კი – 2.62 ლარია.

„ლუკოილის“ ავტოგასამართ სადგურებზე „პრემიუმ ავანგარდი“ 2.45 ლარი, „ევრო რეგულარი“ 2.32; „ევრო დიზელი“ 2.45 ლარი ღირს. „ევრო სუპერის“ ტიპის საწვავის ფასი კი 2.55 ლარია.

„სოკარის“ ავტოგასამართ სადგურებზე 27 სექტემბრის მდგომარეობით, 1 ლიტრი „პრემიუმის“ ფასი – 2.55 ლარია, 1 ლიტრი „რეგულარი“ – 2.45; „სუპერის“ ტიპის საწვავი კი 2.65 ლარი ღირს; ხოლო „ევრო დიზელისა“ და დიზელის ფასი, შესაბამისად, 2.55 და 2.45 ლარია.

რაც შეეხება „რომპეტროლის“ ავტოგასამართ სადგურებს, „ევრო პრემიუმის“ ფასი – 2.60 ლარია; „ევრო რეგულარის“ ტიპის საწვავი 2.50 ლარი ღირს; „efix ევრო დიზელის“ ფასი დღეის მდგომარეობით, 2.57 ლარი; 1 ლიტრი „ევრო დიზელის“ კი 2.50 ლარია; ხოლო „სუპერის“ ღირებულება 2.68 ლარს შეადგენს.

bpi.ge

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

იქნება თუ არა სანთლების რევოლუცია

ირაკლი ოქრუაშვილი: „ბიძინა მთელ სინოდს გადააგდებს“

შორენა მარსაგიშვილი

საქართველოს ხელისუფლება ისეა მარიხუანის ციებ-ცხელებით შეპყრობილი, მზადაა, ეკლესიას დაუპირისპირდეს. მაღალი იერარქიის სასულიერო პირები და მათ შორის პატრიარქიც, ღიად დაუპირისპირდნენ „ოცნების“ მიერ მომზადებულ კანონპროექტს.

სასულიერო პირებმა პირდაპირ თქვეს, რომ ქუჩაში ხალხს გამოიყვანენ და ხელისუფლებას ამ კანონის მიღების უფლებას არ მისცემენ. პირველ ეტაპზე ხელისუფლებამ ერთი შეხედვით უკან დაიხია, მაგრამ პარლამენტის თავმჯდომარის ბოლო განცხადებებს თუ ჩავაანალიზებთ, ისინი მარიხუანაზე უარის თქმას არ აპირებენ.

არადა, ერთი კვირის წინ ბოდბელი მიტროპოლიტი იაკობი აცხადებდა, რომ მათ გადაგდებას ვერავინ გაბედავდა. რუსთავი 2-სთვის მიცემულ ინტერვიუში პატრიარქის ქორეპისკოპოსმა ისიც თქვა, რომ მარიხუანა ივანიშვილს არ აინტერესებს და ის შეცდომაშია შეყვანილი.

თავდაცვის ყოფილი მინისტრი ირაკლი ოქრუაშვილი კი ამტკიცებს, რომ სკანდალური კანონპროექტის უკან ივანიშვილი დგას. ექსმინისტრის თქმითვე, ივანიშვილი არა მარტო მეუფე იაკობს, არამედ მთელ სინოდს გადააგდებს.

ოქრუაშვილი ფეისბუქის საკუთარ გვერდზე იმ მიზეზებზეც საუბრობს, თუ რატომ შეიპყრო „ოცნების“ მამა მარიხუანის ციებამ.

– მარიხუანის კულტივაციის კანონპროექტი უკან არ გაუხმიათ. მისი განხილვა გადადეს ანუ დროებით შეაჩერეს და მალე განაახლებენ. ლოგიკურად თუ ვიმსჯელებთ, განაახლებენ საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ და აუცილებლად განაახლებენ, თუ არჩევნებს მოიგებენ.

ნათლად გამოჩნდა, რომ მარიხუანის კულტივაციის ინიციატორი პირადად ბიძინა ივანიშვილია და ამ საკითხს დღევანდელი ხელისუფლება (მათივე კომენტარებით თუ ვიმსჯელებთ) უყურებს, როგორც დამატებითი ფულის შოვნის საშუალებას. ასევე ნათლად გამოჩნდა, რომ მარიხუანის კულტივაციაზე საუბრისას სიტყვას „სამედიცინო მიზნებისთვის“ იშვიათად და დროდადრო იყენებენ იმის მიხედვით, თუ რამდენად არის საზოგადოებაში პროტესტი. ეს კი იმას ნიშნავს, რომ პირველ რიგში მარიხუანის, როგორც ნარკოტიკის, გაყიდვას ფიქრობენ.

მეუფე იაკობის გულში ნახევრად მჯიღით საუბარი, რომ შემპირდნენ, განხილვას აღარ განაახლებენ და მე ვერ გადამაგდებენო, ცოტა არ იყოს, ღიმილის მომგვრელია. ბიძინამ თუ მოინდომა, მაგას კი არა, სინოდის მთელ შემადგენლობას გადააგდებს. თან აუცილებლად გადაგდებს, რადგან პირველად მოუხდა უკან დახევა ეკლესიასთან. თანაც გადაგდება მისი ერთადერთი საქმეა, რაც ყველაზე კარგად გამოსდის, – ამბობს ოქრუაშვილი.

ივანიშვილი რომ კარგი გადამგდებია, ეს ოქრუაშვილს საკუთარ ტყავზე აქვს გამოცდილი. ამ თემაზე ჯერ არ საუბრობს, მაგრამ პირობას დებს, რომ თავისი გადაგდების ისტორიას სხვა დროს მოგვიყვება.

ამ ეტაპზე ის იხსენებს, თუ როგორ დაკარგა ივანიშვილმა თავისი ქონების 20%. თავდაცვის ექსმინისტრი შიშობს, რომ „ოცნების“ მამის ჯიბის ამოსავსებად საქართველო სიკვდილის ექსპორტს დაიწყებს.

– 2015 წელს ამერიკული ფარმაცევტული კომპანია „რაპტორის“ აქციებით ვაჭრობისას ივანიშვილმა 800 მილიონი ნაღდი ფული დაკარგა ანუ მისი ქონების 20% და შესაძლოა მისი ფულადი რესურსების 50%-იც. ამაზე ბევრი ეხვეწა ჯერ ამერიკელებს, უკან დამიბრუნეთო, შემდეგ ჟენევის სასამართლოში ედავა მის ბანკირს, მაგრამ უკან ვერაფერი ამოიღო. მის მორღვეულ ჯიბეს კი, ფაქტია, ვერც სიგარეტის თითო კოლოფიდან ამოღებული 2,5 თეთრი შეავსებს და ვერც ჩვენი ჯიბიდან ლარის გაუფასურებით ამოღებული ფული.

ასე რომ, მის ჯიბეს შევსება სჭირდება. რით? მარიხუანით.

„წამლის ბარიგებს“ ხალხი იმიტომ ვერ იტანს, რომ ისინი წამლის კი არა, „სიკვდილის გამყიდველები“ არიან. ანუ ჩვენი ქვეყანა მალე „სიკვდილის ექსპორტს“ დაიწყებს იმისათვის, რომ ივანიშვილის მორღვეული ჯიბე შეივსოს, – წერს ირაკლი ოქრუაშვილი.

ახლა ჯერ საპატრიარქოზეა. ვნახოთ, რას იტყვიან მაღალი იერარქიის სასულიერო პირები იმაზე, რომ კანაფის კანონს არ გაიწვევენ და მისი წყალობით საქართველო 7 წელიწადში დაძლევს სიღარიბეს.

პატრიარქის ქორეპისკოპოსმა რამდენიმე დღის წინ თქვა, რომ ისინი ამ საკითხზე უკან არ დაიხევენ და, საჭიროების შემთხვევაში, ასეულობით ათას კაცს გამოიყვანენ ქუჩაში.

გიორგი გუგავა: „ხელისუფლება თუ გაყალბებაზე წავა, ძალიან მძიმე შედეგს მიიღებს“

„უნდა ავირჩიოთ, ნარკობარიგების ქვეყანა გვინდა თუ ეროვნულ ღირებულებებზე დაფუძნებული სახელმწიფო“

იაგო ნაცვლიშვილი

ლეიბორისტული პარტიის ერთ-ერთი ლიდერი **გიორგი გუგავა** „ახალ თაობასთან“ ქვეყანაში შექმნილ ვითარებაზე საუბრობს და ამბობს, რომ თუ „ქართული ოცნება“ გაყალბებაზე წავა, მაშინ ის ძალიან მძიმე შედეგს მიიღებს.

– აქამდე ზაზა სარალიძის სურვილი იყო, აქციაში პარტიებს არ მიეღო მონაწილეობა, რათა პოლიტიკური ელფერი არ მიეღო მას. ამჯერად ვითარება შეიცვალა. შეუერთდებით აქციას?

– პოზიციას აქამდეც გამოვხატავდით და მოვუწოდებდით ხელისუფლებას, გამოძიების მიმართულებით ქმედითი ნაბიჯები გადაედგა. იმიტომ, რომ შვილმოკლული მამების მოთხოვნები აბსოლუტურად ლეგიტიმურია.

ერთ შემთხვევაში ლოგინში ჩაცხრილეს თემირლან მაჩალიკაშვილი და ამის არანაირი დასაბუთება არ არსებობს, რომ სპეცსამსახურები ამის გაკეთების აუცილებლობის წინაშე იყვნენ, რაც თავისთავად დანაშაულია.

მეორე შემთხვევაში ასევე ხელისუფლებამ დამალა რეალური მკვლელი და დღეს სასამართლოს გადაწყვეტილება გამოტანილია მკვლელის გარეშე. ბუნებრივია, სარალიძის მოთხოვნები აბსოლუტურად ლეგიტიმური და სამართლიანია. ითხოვენ სამართალს და ჩვენ სოლიდარულები ვართ.

როდესაც პროცესები დაიწყო ჩვენ ჩართულები ვიყავით. შემდეგ იყო განცხადებები იმის შესახებ, რომ პროტესტი არ ყოფილიყო პოლიტიკური, რაც მცდარი იყო. ამ შემთხვევაში მოხდა ხელისუფლების იმ პიარზე აყოლა, რომ პოლიტიკურ ძალებს პოლიტიკური ქულებისა თუ დივიდენდების მიღება სურდა, რაც აბსურდია. რაც მოხდა, ის მკვლელობები და მკვლელისთვის ხელის დაფარება არის პოლიტიკის შედეგი. მას ახორციელებს ხელისუფლება და მას უნდა დავუპირისპირდეთ პოლიტიკური მეთოდებით. სამწუხაროდ, ხელისუფლებისგან ამ პროცესში ჩათრევამ ეს შედეგი მოიტანა.

რაც შეეხება ახლანდელ პროცესებს, ჩვენ ისევ სოლიდარულები ვართ და მხარს დავუჭერთ მათ. ჩვენი აქტივისტები აქციაზე არიან. ჩვენც მივალთ, მხარში დავუდგებით მათ, მაგრამ კარგად გამიგეთ, ხან პოლიტიკურია, ხან აპოლიტიკურია და ა. შ. პროცესის წარმართვა ასე არ ხდება. აქციებს თავის დინამიკა და ლოგიკა აქვს. როგორ უნდა მოახდინო კულმინაცია. ბევრი დეტალია. მიუხედავად ამისა, ჩვენ, რა თქმა უნდა, მხარში ვუდგავართ და ვიზიარებთ მათ მოთხოვნებს. ყველაფერს გავაკეთებთ, რომ სამართალმა პური ჭამოს.

– აქციების პირველ ეტაპზე ლეიბორისტები იყავით აქციების ორგანიზატორები და ამ ფუნქციას აღარ შეასრულებთ ამჯერად და მხოლოდ სოლიდარულები იქნებით აქციის მიმართ?

– ორგანიზატორები ვერ ვიქნებით, რადგან აქციას ჰყავს უკვე ორგანიზატორები, აქედან გამომდინარე ორგანიზების ფუნქციას ჩვენ ვერ ავიღებთ.

– ქვეყანაში საკმაოდ მძიმე ფონია, ხომ არ ხედავთ საჭიროებას, რომ პერმანენტული საპროტესტო აქციები დაიწყოთ? თუნდაც არჩევნების შემდეგ ხომ არ დაგჭირდებათ ხმების დაცვა?

– მე ვფიქრობ, რომ ყველა საშუალება, სამართლიანი და მშვიდობიანი, ოღონდ რადიკალური ფორმებიც უნდა იყოს გამოყენებული.

ყველა მიმართულებით პრობლემებია. სოციალურ-ეკონომიკური მიმართულებით კატასტროფაა, ამ ქვეყანაში ცხოვრება გაუსაძლისი ხდება. ვუყურებთ ტოტალური ელიტარული კორუფციის მაგალითებს. ამ თემაზე უკვე სერიალები გადის. ეს საკმარისი იქნებოდა 1 კი არა, 10 მთავრობის გადასაყენებლად ბევრ ცივილიზებულ ქვეყანაში.

– მაშინ აქ რატომ არ ხდება?

– იმიტომ, რომ ქვეყანას კლასიკური გაგებით ხელისუფლება არ მართავს. ხელისუფლება შეიძლება იყოს დემოკრატიული, ავტორიტარული, დიქტატორული, მაგრამ ჩვენ საქმე გვაქვს დანაშაულებრივ სინდიკატთან. პროცესს მართავენ ისე, როგორც ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფები მართავდნენ ხოლმე. ეს არის ძალადობა, დატერორება, შანტაჟი. ანუ იმ პრინციპებით მოქმედებენ, 40-იან წლებში აშშ-ში დანაშაულებრივი ჯგუფები რა პრინციპებითაც მოქმედებდნენ.

თუ საზოგადოებამ ამაზე რეაგირება დროულად არ მოვახდინეთ, არაფერი შეიცვლება. ყველაზე მშვიდობიანი საშუალება 28 ოქტომბრის არჩევნებია. ყველაზე კარგი ამ სისტემასთან რადიკალურად დაპირისპირებული ლიდერის არჩევაა. ეს არჩევნები უნდა გახდეს ამ სისტემის პოლიტიკური დასასრულის დასაწყისი.

ქვეყანას მართავს მაფიოზური სინდიკატი. პენსია 1 თეთრით არ მოუმატებიათ. სიღარიბე უფრო და უფრო მატულობს ქვეყანაში. არის ერთი ვიწრო ჯგუფი, რომელიც ხაპავს მილიონებს. იქამდეც მივედით, რომ თურმე ნარკოტიკების წარმოება უნდა დავიწყოთ. ნარკობარონობა მოუნდათ.

არჩევანი კანდიდატებს შორის კი არაა, არჩევანია იმაზე, ნარკობარიგების ქვეყანა გვინდა თუ ეროვნულ ღირებულებებზე დაფუძნებული სახელმწიფო, კორუმპირებული გახრწნილი ელიტა თუ სოციალური სამართლიანობის პრინციპებზე დაფუძნებული ქვეყანა.

ეგზისტენციალური არჩევანის წინაშე ვდგავართ. ეს არის ერთგვარი გამოცდა, რეფერენდუმი და პლებისციტი, რომელ გზას ვირჩევთ, ჯოჯოხეთის და ნარკოტიკის გზას თუ ეროვნული ღირებულებების განვითარებას, ევროპულ და გადარჩენის გზას.

– თუ არ იქნება ის შედეგი, რასაც ელოდებით, გახვალთ ქუჩაში ხმების დასაცავად?

– აქ ცხოვრება ამ ქვეყანას და ამ ხალხს აღარ შეუძლია. სიტუაცია კულმინაციამდეა მისული. საკმარისია პატარა მაპროვოცირებელი ფაქტორი და შეიძლება მთლიანად აფეთქდეს ქვეყანა. ამიტომ ვამბობ, რომ ყველაზე მშვიდობიანი გზა არჩევნებია.

– ანუ აქციების გზასაც განიხილავთ?

– წავლენ გაყალბებაზე? უფრო დააჩქარებენ თავის დასასრულს. ვარწმუნებ ხელისუფლებას, რომ ეს დასასრული მათთვის იქნება მძიმე. ეს გზა ამ ქვეყანამ რამდენჯერმე გაიარა. თუ ამ მომხვეჭელობით გააგრძელებენ იგივეს, მაშინ შესაბამის შედეგს მიიღებენ.

ფაქტია, სახელისუფლებო კანდიდატს დასაყრდენი არ გააჩნია. არჩევნები ხელისუფლებას წინასწარ წაგებული აქვს, თუ ისინი გაყალბებაზე, მოსყიდვასა და ძალადობაზე არ წავლენ. თუ ისინი გააყალბებენ არჩევნებს, მიიღებენ ისეთ მუხტს, რომელიც მათ დაამარცხებს საბოლოოდ და პროცესს ძალიან მძიმე შედეგებით დაასრულებს.

სალომე ზურაბიშვილი ოპონენტებს დებატებში იწვევს

— „ამ შავი ძალის ორივე სახეს ვიწვევ ამ დებატებზე“

პრეზიდენტობის კანდიდატი, სალომე ზურაბიშვილი ოპონენტებს დებატებში იწვევს. ამის შესახებ ზურაბიშვილმა განცხადება ბრიფინგზე გააკეთა.

მისი თქმით, ქვეყანაში წინასაარჩევნო კამპანია არაევროპულია და მისი მისამართით ცილისმწამებლური განცხადებები კეთდება.

სალომე ზურაბიშვილის თქმით, ოპონენტებთან დებატები ნეიტრალურ სივრცეში უნდა შედგეს.

– გადავწყვიტე ავიღო ინიციატივა და ვთქვა, რომ მე ამ შავი ძალის ორივე სახეს ვიწვევ ამ დებატებზე, მივიღებ მონაწილეობას ნეიტრალურ სივრცეში, რათა მე დავაფიქსირო ჩემი სამართლე, პოზიციები და ყველასთვის ნათელი მოვფინოთ იმას, რაც ხდება დღეს ქვეყანაში, – აცხადებს ზურაბიშვილი.

რამაზ საყვარელიძე: „ფარული ჩანაწერები არჩევნებს უკავშირდება“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი **რამაზ საყვარელიძე** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ბოლო დროს ქვეყანაში განვითარებულ მოვლენებზე საუბრობს.

– ბატონო რამაზ, ბოლო დროს ქვეყანაში განვითარებულ მოვლენებს რამდენად აკავშირებთ არჩევნებთან?

– ცალსახად შემიძლია გითხრათ, რომ ამ პროცესების მთავარი დეტონატორი, უფრო ზუსტად კი მისი გახმაურების, სწორედ არჩევნებია. როგორ და როდის განვითარდა და მომწიფდა, ეს ცალკე საკითხია.

– ფარული ჩანაწერები ამის ნაწილია?

– ახლა, ამ პერიოდში მისი გავრცელება სწორედ ასე აღიქმება, ეს ასეა, ვინმეს უნდა თუ არ უნდა. რაც ამ ბოლო ერთი თვის განმავლობაში მოხდება საჯარო სივრცეში სწორედ არჩევნების რაკურსში, არჩევნების ჭრილში განიხილება. მსგავსი რამ თითქოს დაუწერელ კანონად იქცა საქართველოში.

– მთელ ამ ამბავში ყოფილი პრემიერის გარემოცვა და თითქოს მასთან დაპირისპირებული მეორე ჯგუფი გამოიკვეთა. რასთან გვაქვს საქმე? გიორგი კვირიკაშვილი ამბობს, რომ პატიოსან ხალხთან მუშაობდა.

– კვირიკაშვილი კი იტყვის, რადგან ის იყო ადამიანი, რომელსაც ამ მიმართულებით ჰქონდა ორიენტაცია, მას ასე სჯეროდა, მაგრამ ეს ხომ არაფერს გამორიცხავს. შეიძლება, ზედა სართული სუფთა იყოს, მაგრამ ეს ხომ არ გამორიცხავს, ქვედა სართულზე იგივე ვითარება არ იყოს. არაერთი მაგალითი ვიცით საქართველოს ისტორიაში, როდესაც პირველი პირი „სუფთა“ იყო, მაგრამ ამას ვერ ვიტყოდით მის გარემოცვაზე.

ფარული ჩანაწერები მიანიშნებს იმაზე, რომ მოვლენები დიდი ხნის წინ არის განვითარებული, მაგრამ მათზე განგაშის ატეხა თუნდაც დაზარალებულ მხარეს ხომ გაცილებით ადრე შეეძლო?! რატომ წამოტივტივდა ახლა?! ახლა მოსთხოვეს გადასახადის გადახდა და იმიტომ – შეიძლება, პასუხი ასეთი იყოს და ეს ლოგიკურია, მაგრამ ამ დროს ხელისუფლება რას შვრება?! მე ვფიქრობ, ეს ან შეცდომაა, ან ჩანაფიქრი.

– არჩევნების კონტექსტში ამბობთ?

– დიახ, რატომ გააქტიურდა ეს საკითხი წინასაარჩევნოდ და საერთოდ ზოგადადაც, რადგან არც ერთ ხელისუფლებას არ აწყობს მსგავსი ჩანაწერები. დროის ეს დიდი ინტერვალი მაფიქრებინებს, კითხვებს მიჩენს და ეს შესწავლას საჭიროებს.

მე არ მგონია, ყველაფერი ისე იყოს, რომ ვიღაც ვერაგმა ადამიანებმა საწყალი ბიზნესმენი ჩააგდეს ამ დღეში. როგორც ჩანს, ბიზნესმენსაც ჰქონდა თავისი ინტერესები, როდესაც ის თავის დროზე გაჩუმდა.

– რაც უფრო მოახლოვდება არჩევნები, კიდევ უფრო დამძიმდება სურათი?

– რასაკვირველია, თუმცა, მე არსებით ცვლილებებს არ ველოდები. არჩევნები კვლავ ჩვეულ რეჟიმში მიმდინარეობს, თითქოს სწორედ ან ამ არჩევნებით უნდა დაიწყოს ყველაფერი, ან ამ არჩევნებით დამთავრდეს, როგორც ეს იყო ყველა არჩევნების ლაიტმოტივი. არადა, ხომ ვიცით, რომ ასე არ არის. დასრულებულა არჩევნები და ცხოვრებაც გაგრძელებულა.

– ბატონო რამაზ, რას გვეტყვით პრემიერ ბახტაძესთან გამართულ შეხვედრაზე?

– დიახ, ასეთი შეხვედრა მართლაც იყო. საჭიროა, ინტელექტუალური ჯგუფები შეიქმნას, რომლებიც სახელმწიფოსთვის მნიშვნელოვან თემებზე იმუშავებენ. უცხოეთში მსგავსი ჯგუფები მუშაობენ და რეკომენდაციებს აძლევენ ხელისუფლებას, მთავრობებს.

– რა შთაბეჭდილება დაგრჩათ, რამდენად ფლობს მართვის სადავეებს, თუნდაც ამ საუბრიდან, ვინ იღებს გადაწყვეტილებებს?

– არ ვიცი, მართვის სადავეები აქვს თუ არა ხელში, მაგრამ მე დავინახე, რომ გადაწყვეტილებების მიღების შინაგანი მზაობა აქვს. გადაწყვეტილების თავის თავზე აღების მზადყოფნა მას აქვს.

მამუკა გვაძაბია: „ჩვენ აფხაზეთი მხოლოდ დროებით დავტოვეთ“

გულიკო ბალაძე

დამოუკიდებელი ექსპერტი, აფხაზეთიდან დევნილი **მამუკა გვაძაბია**, „ახალ თაობას“ სოხუმის დაცემასა და მთლიანად აფხაზეთზე საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების კონტროლის დაკარგვის სამწუხარო ფაქტსა და მისგან გამომდინარე შედეგებზე ესაუბრა.

– ბატონო მამუკა, 1993 წლის 27-30 სექტემბრის დღეები ძალიან მძიმე იყო და არის ქვეყნისთვის და პირადად თქვენთვისაც.

– აფხაზეთის ტრაგედია ყველაზე და ყველაფერზე აისახა. 27 სექტემბერს სოხუმი დაეცა, 30 სექტემბერს კი – მთლიანად აფხაზეთი. 27-30 სექტემბრის დღეები ზოგადად აფხაზეთის დაცემის დღეებია.

– დღეს როგორ გრძნობთ თავს? რამდენადაც ვიცი, სამწუხაროდ, ცოტა ხნის წინ დედაც გარდაგეცვალათ და სწორედ ოკუპაციის გამო დედის უკანასკნელ გზაზე გაცილების საშუალებაც არ მოგეცათ.

– დიდი მადლობა, ეს პირადული ტკივილია, მაგრამ, მხოლოდ ჩემი პირადი ტკივილი რომ იყოს, საერთოდ არ ვიწუწუნებდი ამაზე. აფხაზეთი ასიათასობით ადამიანის ტკივილია. ადამიანებს არ ეძლევათ საკუთარ სახლებში დაბრუნების, ახლობლების საფლავებთან მისვლის საშუალება.

რამდენიმე დღის წინ დედა გარდამეცვალა. გალის რაიონში ვცხოვრობთ. იქ ცუდად გახდა, ინსულტი მიიღო. ზუგდიდში გადმოიყვანეს, სადაც 10 დღის განმავლობაში უგონო მდგომარეობაში იმყოფებოდა. მერე გარდაიცვალა. მინდა, დიდი მადლობა გადავუხადო სოფელ რუხის წმინდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიის წინამძღვარს (ფიფიას), რომელმაც საშუალება მოგვცა, რამდენიმე დღით მიცვალებული ტაძარში დაგვესვენებინა და ქრისტიანული წესი აგვეგო.

საკმაოდ სერიოზული ფორმალობებისა (რომელსაც საოკუპაციო რეჟიმი ითხოვს) და საჭირო დოკუმენტაციის შემდეგ მიცვალებული გადასვენებულ იქნა ოკუპირებულ ტერიტორიაზე, გალში. ძალიან ტკივილიანი მომენტია, როცა შენ ვერ მიჰყვები და საოკუპაციო რეჟიმის გამო შვილი დედას უკანასკნელად მიწას ვერ მიაყრი. ეს არის ძალიან მძიმე რამ...

2010 წელს მამა რომ გარდამეცვალა, მაშინ რუსეთი ე.წ. ადმინისტრაციულ საზღვარზე სიტუაციას არ აკონტროლებდა და ჩვენ აფხაზებთან ძალიან წყნარად გამოვნახეთ საერთო ენა. ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე (რა თქმა უნდა, არაოფიციალურად), ენგურის ხიდის გვერდის ავლით, გადავედი და გარდაცვლილ მამას პატივი მივაგე. ახლა გალში ჩემი გადასვლა არ მოხერხდა. თუმცა, ჩემი ძმები ახლა იქ არიან და ყველაფერი ისე წარიმართა, როგორც წესი და რიგია.

– თქვენ თქვით, რომ 2010 წელს დიდი დაბრკოლებების გარეშე შეძელით იქ გადასვლა, ანუ რუსული რეჟიმის გარეშე ეს შესაძლებელია?

– დიახ, აფხაზებთან ადვილად გამოვნახეთ საერთო ენა. მართალია, არაოფიციალური მოძრაობების შემდეგ (რაღაც თანხა იყო გადასახდელი და გადავიხადეთ) შევძელით გადასვლა. პირიქით, მამაჩემის გასვენებაზე აფხაზებიც ჩამოვიდნენ (აფხაზებს ნეკროლოგი უნახავთ. მამაჩემი კულტურის მოღვაწე იყო და აფხაზებში ბევრი მეგობარი ჰყავდა) და მოგვისამძიმრეს.

მთავარი ხელისშემშლელი აფხაზებისა და ქართველების დაახლოებაში და სეპარატიზაციის მთავარი მამოძრავებელი საქართველოსაგან განუყოფელ კუთხეში რუსეთია. საქართველომ დაიწყო თუ არა მოძრაობა დამოუკიდებლობისკენ, მაშინვე გამოიღვიძა რუსეთმა. რუსულმა სპეცსამსახურებმა ყველაფერი გააკეთეს იმისთვის, რომ საქართველოსთვის მისი ძირძველი კუთხე, აფხაზეთი, ჩამოეცილებინათ.

– აფხაზეთში რუსული სამხედრო მანქანა რომ არ იყოს, ქართველებისა და აფხაზების დაახლოებას წინ ვერაფერი აღუდგება?

– დიახ, როგორც კი რუსეთი არ იქნება ენგურზე, როგორც კი რუსეთი წავა საქართველოდან, მერწმუნეთ, ქართველები და აფხაზები შერიგდებიან. როგორც დაინგრა ბერლინის კედელი და ჩამოიხსნა რკინის ფარდა, ისე მოხდება ჩვენი ქვეყნის გამთლიანებაც.

– ახლა, არსებულ პირობებში, როგორ წარმოგიდგენიათ რუსეთის სამხედრო მანქანას ამოფარებული სეპარატისტული მოძრაობისა და რუსეთის განეიტრალება?

– საქართველოს ხელისუფლებები ამ პრობლემის მიმართ ადეკვატური არასოდეს ყოფილან, შევარდნაძისა და სააკაშვილის ხელისუფლებები აფხაზეთის პრობლემის მიმართ ადეკვატურები არ იყვნენ, დღევანდელ ხელისუფლებას საერთოდ მეათეხარისხოვან პრობლემად მიაჩნია. ამიტომ ნაციონალ-სეპარატისტული რეჟიმის განეიტრალება დღეს რთული საკითხია. ამაზე მე განსხვავებული აზრი გამაჩნია.

– რას გულისხმობთ?

– საქართველოს ხელისუფლებამ უნდა აღიაროს, რა მოხდა 1992-93 წლებში აფხაზეთში, მანამდე რა მოხდა თბილისში. ვგულისხმობ სახელმწიფო გადატრიალებას და ამის შემდეგ მივყვეთ მოვლენების განვითარებას. სანამ ეს არ იქნება აღიარებული, აფხაზეთში ვერ ვიპოვით მხარდამჭერებს. ისინი ამ პოზიციას გაიგებენ.

– ამ კონტექსტში შამბას განცხადება რის მაჩვენებელია?

– შამბა თბილისშიც იყო ჩამოსული. ცხადია, შამბას უკან ვიღაც დგას. რა თქმა უნდა, შამბა რუსეთის სპეცსამსახურებთან ითანამშრომლებდა, მაგრამ ის ფაქტიც კი, რომ მან განაცხადა, ქართველები მტრად არ მიმაჩნიაო, საგულისხმოა.

– აღიარება და შეფასება იმგვარად, როგორც თქვენ საუბრობთ, რას შესძენს ამ საკითხს?

– მე უფრო მეტს ველოდები. როგორც კი საქართველოს ხელისუფლება ყველაფერს თავის სახელს დაარქმევს, აფხაზეთში სხვა ადამიანებიც წამოყოფენ თავს. საქართველოს აფხაზურ საზოგადოებაშიც ძალიან სჭირდება თანამოაზრეები, რომლებიც თავიანთ თავს ქართულ სახელმწიფოში მოიაზრებენ. სხვაგვარად ვითარების შეცვლა რთულია.

– მომავალში აფხაზეთში ჩვენი იურისდიქციის აღდგენის იმედი გაქვთ?

– ცხადია, იმედი მაქვს, რომ აფხაზეთში ჩვენი იურისდიქცია აღდგება. ჩვენ არ ვიცით, როგორ განვითარდება მოვლენები. არავის ეგონა, თუ ბერლინის კედელი დაინგრეოდა. არავის ეგონა, თუ საბჭოთა კავშირი დაინგრეოდა, მაგრამ დაინგრა, ვარშავის სამხედრო ბლოკი დაიშალა. ამიტომ საქართველოს ხელისუფლებამ ერთი წამითაც არ უნდა მოადუნოს ყურადღება.

– როგორ?

– აუცილებელია საერთაშორისო თანამეგობრობასთან მუშაობა, აუცილებელია ევროსაბჭოში, ევროკავშირში, ეუთოსა და ნატოში სერიოზული მუშაობა. ამგვარი მუშაობის გარეშე სეპარატიზმის განეიტრალება ძალიან რთულია. ჩვენ ყოველდღე მსოფლიო საზოგადოებრიობას უნდა ვეუბნებოდეთ, რომ რუსეთი არის დამპყრობელი, რუსეთი არის მტერი.

– 27 სექტემბერს ერთ-ერთ ტელეკომპანიას მოვუსმინე. იმ ტექსტში, რომელიც ჟურნალისტმა აფხაზეთთან დაკავშირებით წაიკითხა, ერთი მიუღებელი და არარეალური ფრაზა იყო – აფხაზეთმა ამ ომით დამოუკიდებლობა მოიპოვაო. ეს აშკარად არ არის რეალობა. აფხაზეთს რუსეთისგან დამოუკიდებლობის რა ხარისხი აქვს?

– საერთაშორისო სამართლით დამოუკიდებლობის მოპოვების ერთ-ერთი მთავარი პრინციპია ამ საკითხის რეფერენდუმით გარკვევა. ის პოლიტიკური სუბიექტი, რომელსაც უნდა დამოუკიდებლობის მოპოვება, მოცემულ ტერიტორიაზე რეფერენდუმს ატარებს. რეფერენდუმში ადგილობრივი მოსახლეობა მონაწილეობს. მოგეხსენებათ, აფხაზეთიდან მისი ძირძველი, აბორიგენი მოსახლეობა ომის შედეგად, ძალადობრივად გამოდევნილია და მათ სეპარატისტების მიერ ჩატარებულ ე.წ. რეფერენდუმში მონაწილეობა არ მიუღიათ. ამიტომ მათ მიერ გამოცხადებული თავისუფლება ლეგიტიმური არ არის.

ფაქტობრივად, რუსეთმა მოახდინა ამ ტერიტორიის ოკუპაცია და ყველაფერზე, რაც ხდება აფხაზეთში, მათ შორის, ეთნიკური შევიწროების თვალსაზრისით, კრემლია პასუხისმგებელი.

ადგილობრივი მარიონეტული რეჟიმი კრემლისგან დამოუკიდებლად უბრალო მოხელესაც ვერ ნიშნავს. ახლახან ე.წ. პრემიერ-მინისტრი გაგულია ავარიაში მოყვა, სერიოზული დაზიანება არ მიუღია, მაგრამ გზაში, საავადმყოფოში მისვლამდე გარდაიცვალა. ძალიან სერიოზული წყაროები ამბობენ, რომ გაგულია მოკლეს. საგულისხმოა, რომ გაგულიას არც ერთი კრიტიკული სიტყვა საქართველოზე არ უთქვამს.

– თქვენ წარსულში სხვა ხელმძღვანელების მკვლელობებზეც საუბრობდით.

– დიახ, ანქვაბს შვიდჯერ მოუწყვეს ტერაქტი. ანქვაბზე ამბობდნენ, მექვაბი შვილიაო და არ ენდობოდნენ. აჩბას მე კარგად ვიცნობდი, ბრწყინვალედ ფლობდა ქართულს. როდესაც მან თქვა, რომ ქართველებსა და აფხაზებს შუამავლად რუსეთი არ გვჭირდებაო, მოკლეს. საოკუპაციო რეჟიმი ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ ქართველებმა და აფხაზებმა ერთმანეთთან ურთიერთობა ვერ მოაგვარონ.

– იმედი უნდა გვქონდეს, რომ აფხაზები და ქართველები შერიგდებიან?

– ამაში დარწმუნებული ვარ. მე ასეთი პოზიცია მაქვს – არც სოხუმი, არც ოჩამჩირე, არც გაგრა, არც გალი და არც ბიჭვინთა არ დაგვიკარგავს. ჩვენ ისინი დროებით დავტოვეთ – მე ასეთი შეგრძნება მაქვს.

ჩემი ვარაუდი გამართლდება. ჩვენ მოვესწრებით აფხაზეთში დაბრუნებას. მაშინ საქართველოში მოღალატური ხელისუფლება იყო, კავკასიაში ერთადერთი მთავარი მოთამაშე რუსეთი გახლდათ, შევარდნაძე და არძინბა მარიონეტები იყვნენ. ომი მოხდა და ჩვენ ამ ტერიტორიაზე იურისდიქცია დავკარგეთ. ჩაფიქრებული იყო, ეს ქართველების ხელით უნდა გაკეთებულიყო. გააფორმეს, რომ ქართველებმა ჯარი შეიყვანეს, ენგური გადალახეს. რუსებმა მოახდინეს ომის პროვოცირება და თავიანთი გეოპოლიტიკური მიზნებისთვის ამ ტერიტორიის ოკუპაცია.

ეს მდგომარეობა უნდა განვიხილოთ ისე, რომ ჩვენ აფხაზეთი დროებით დავტოვეთ, დაკარგული არ არის და, დღეს იქნება თუ ხვალ, აუცილებლად დავიბრუნებთ.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსი ფიჯის რესპუბლიკის თავდაცვისა და უსაფრთხოების მინისტრს შეხვდა

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსმა, ვახტანგ გომელაურმა ფიჯის რესპუბლიკის თავდაცვისა და ეროვნული უსაფრთხოების მინისტრთან, რატუ ინოქე კუბუაბოლასთან შეხვედრა გამართა.

შეხვედრაზე მხარეებმა უსაფრთხოების სფეროში არსებული გამოწვევები და ტერორიზმთან ბრძოლის კუთხით განხორციელებული ღონისძიებები განიხილეს. საუბარი შეეხო ოკუპირებულ ტერიტორიებსა და საოკუპაციო ხაზის მიმდებარედ არსებულ უსაფრთხოების გარემოს.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსმა და ფიჯის რესპუბლიკის თავდაცვისა და უსაფრთხოების მინისტრმა ურთიერთთანამშრომლობის მნიშვნელობაზე ისაუბრეს და სამომავლო გეგმები დასახეს.

შეხვედრას ესწრებოდნენ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის მოადგილეები: ალექსანდრე ტაბატაძე და გრიგოლ ლილუაშვილი და ადმინისტრაციის უფროსი ნინო გიორგობიანი.

ვიზიტის ფარგლებში, ფიჯის რესპუბლიკის თავდაცვისა და ეროვნული უსაფრთხოების მინისტრი, რატუ ინოქე კუბუაბოლა, დელეგაციის სხვა წევრებთან ერთად გორის რაიონის სოფელ ხურვალეთში, საოკუპაციო ხაზთან იმყოფებოდა. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის წარმომადგენლებმა დელეგაციის წევრს ოკუპირებულ რეგიონებში შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით ამომწურავი ინფორმაცია მიაწოდეს.

პეტრე მამრაძე: „რუსეთი აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარებას უკან არ წაიღებს“

გულიკო ბალაძე

პარლამენტის ყოფილი წევრი **პეტრე მამრაძე** „ახალი თაობის“ კითხვებს პასუხობს.

– ბატონო პეტრე, საქართველოში საპრეზიდენტო არჩევნების მოახლოებასთან ერთად, რუსული ძალები ხომ არ გააქტიურდნენ? ამაზე დღეს ბევრი საუბრობს.

– მე ამას ვერ ვგრძნობ. ამას მივაწერ იმ ფაქტს, რომ საქართველოს პრეზიდენტს მოქმედი კონსტიტუციით ქვეყნის არც შიდა და არც გარე პოლიტიკაზე გავლენა არ აქვს. საზღვარგარეთაც წარადგენს საქართველოს მხოლოდ მინისტრთა კაბინეტის გადაწყვეტილებით, სხვა უფლება არ აქვს, ვერც ხელშეკრულებას მოაწერს ხელს, ვერც სხვას ვერაფერს იზამს. ერთი მიზეზი ეს არის.

მეორე – როდესაც რუსეთს თავისი სამხედრო-პოლიტიკური მანქანის მოქმედების შედეგად, საქართველოს დედაქალაქ თბილისიდან 30 კილომეტრში, ქვეყნის ცენტრალური მაგისტრალის გაყოლებიდან 400 მეტრში ტანკები აქვს დაყენებული (რაც სააკაშვილის დახმარებით გაკეთეს), კაპიკსაც არ დახარჯავს იმისთვის, რომ კიდევ რაღაც გავლენა ჰქონდეს.

– რუსეთს თბილისიდან 30 კილომეტრის დაშორებით ტანკები კი ჰყავს დაყენებული, მაგრამ საუბარია რბილი ძალის გავლენაზეც.

– არა მგონია, სერიოზული იყოს. მე რასაც ვხედავ, ერთი-ორი საიტი თუ არის, სადაც რაღაცას წერენ. მეტი არაფერი ჩანს. კრემლს ცოტა მეტი ფული რომ დაეხარჯა რბილ ძალაზე, საქართველოში სულ სხვა სურათი იქნებოდა.

– რუსეთს მეტი ფული რომ დაეხარჯა, ხალხში უფრო მეტი გავლენა ექნებოდა?

– არა, გავლენა კი არ ექნებოდა, ყველანი დავინახავდით იმას, რომ რბილი ძალის ამოქმედებაზე ფულს ხარჯავენ.

– მაგალითად, როგორ?

– ეს იქნებოდა სპეციალური რადიო ან ტელევიზია, რომელიც გავრცელდებოდა საქართველოს ტერიტორიაზე. ჩვენ ვიცით, საბჭოთა კავშირი რამდენ ფულს ხარჯავდა რბილი ძალისთვის. მილიარდებს ხარჯავდა და მსოფლიოში გადასცემდა თავის გადაცემებს. ეს არ ჩანს.

– ცოტა ხნის წინ, დიდი აღშფოთება გამოიწვია პუტინის ფონდის გრანტებით მოწყობილმა სამხრეთ კავკასიის ქვეყნების ჟურნალისტთა წარმომადგენლების კონფერენციამ, რომელშიც რუსებიც მონაწილეობდნენ. რამდენადაც ვიცი, იქ თქვენც იყავით.

– მე მხოლოდ და მხოლოდ მალაშენკოს მოსასმენად მივედი. მალაშენკო არის პუტინის რეჟიმის უმოწყალო და უშეღავათო კრიტიკოსი.

– ისე კარგად კი გამოგვლანძღა, პროვინციელები გვეძახა.

– ამის შესახებ მსმენია, მაგრამ მე სასწაულ რამეს შევესწარი – კაცს, რომელმაც ჯერ კიდევ წლების წინ დაწერა, პუტინის სადისტური რეჟიმი რუსეთს ღუპავსო, ქართველები ეუბნებოდნენ (ქართული მარშის ჰაბიტუსის მქონე ადამიანები. მე მათ არ ვიცნობ, გვარები არ ვიცი), რას ლაპარაკობთ, ბატონო მალაშენკო, პუტინი რომ არა, რუსეთიც არ იარსებებდა, საქართველოც არ არსებობდა და პუტინმა სუდარას გადაგვარჩინაო. მალაშენკო ქართველებს უხსნიდა, როგორ გეკადრებათ, რა შუაშია პუტინიო.

– არა მგონია, ქართული მარშის წევრებს მალაშენკოსთვის ეთქვათ, პუტინმა გადაარჩინა საქართველოო.

– მეც არა მგონია, მაგრამ მოწმეები არიან, ვინც მოისმინეს, ქართველები ეუბნებოდნენ, რომ არა პუტინი, დასავლური იმპერიალიზმი ყველაფერს წაიღებდა და გადაგვაგვარებდაო, რაც არის სრული იდიოტობა და მარაზმი. ამ მარაზმს ისმენდა ქართველებისაგან მალაშენკო და დიდი მოთმინებით უსმენდა იმ ადამიანებს, არავითარ შემთხვევაში ასე არ არისო. ეს არის ის, რაც გავიგონე.

რაც შეეხება პუტინის გრანტს – რუსეთში ცენტრალიზაციის ისეთი დონეა, სხვანაირი გრანტები არ იარსებებს. გრანტები ვის სახელსაც უნდა ატარებდეს, ყოველთვის ცენტრალიზებულია, რადგან პუტინი არის რუსეთის ნამდვილი თვითმპყრობელი, ჩეკისტი მმართველი.

– მალაშენკო პუტინს თავისებურად აკრიტიკებს, მაგრამ ეთანხმება მთავარში. მისი შეფასებით, რუსეთი ოკუპანტი არ არის. მალაშენკო ეთანხმება პუტინის იმ პოლიტიკას, რასაც ის ატარებს მეზობელი სახელმწიფოების წინააღმდეგ, მათ შორის, საქართველოს მიმართ.

– რაც მალაშენკომ თქვა საოკუპაციო კანონზე – რომ „საქართველოს კანონი ოკუპაციის შესახებ“ არის პროვინციული და საბჭოური გადმონაშთი – იმაზე ბევრად უარესი თქვეს უცხოელებმა – ევროპელებმა, მათ შორის, მაღალი თანამდებობის პირებმა, როდესაც სააკაშვილმა ეს კანონი მიიღო. ევროკომისარმა ბენიტა ფერერო ვარგენერმა დიდი სინანულით თქვა, რომ, სამწუხაროდ, საქართველოს ხელისუფლება თვითონ აშენებს რკინის ფარდას, რომლითაც იზოლირებას უკეთებს თავისივე რეგიონებს აფხაზეთსა და ცხინვალის მხარეს დანარჩენი საქართველოსაგან. პიტერ სემნებიმ (რომელიც წარმომადგენელი იყო სამხრეთ კავკასიაში) თქვა, რომ დიდად სამწუხაროა, რომ საქართველოს ხელისუფლებამ ასეთი კანონი მიიღო. გასაგებია, რატომაც.

– სხვაგან „ოკუპაციის შესახებ კანონის“ ანალოგი არის, ანუ სხვა რომელიმე ქვეყანაში ჰქონდათ ასეთი კანონი მიღებული?

– მე არ გამიგია ანალოგის შესახებ. რაც მთავარია, საქართველოს ცხოვრებაში ამ რეგიონების ჩართულობა რომ ყოფილიყო მათი აღიარების გარეშე, ამას უცხოელები მხარს დაუჭერდნენ. როდესაც უცხოელებმა დაინახეს, რომ პუტინის ერთგული და სასარგებლო იდიოტი სააკაშვილი ამ კანონით ხელს უწყობს პუტინის პოლიტიკას და ოკუპაციას, რუსეთის შემოსვლას თავისი მარიონეტებით, ბაზებით საქართველოს ტერიტორიებზე აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში, მაშინვე ხელი დაიბანეს.

მაშინ თქვეს, ჩვენ სხვა რამ გვინდოდა, სააკაშვილი კი სხვას აკეთებსო. გვეუბნებოდნენ, ფართოდ გაუღეთ კარები თქვენს ოსებსა და აფხაზებს, რატომ უშვებთ მათ გაუცხოებასო, რადგან ამ კანონმა დაუშვა ჩვენ შორის გაუცხოება, რაც დასანანია და მიუღებელია ჩემთვის.

„ოცნებამ“ ვერ გაბედა „ოკუპაციის შესახებ კანონის“ იმ პუნქტების შეცვლა, რომლებიც სააკაშვილის განზრახვით უზრუნველყოფს გაუცხოებას და აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის რუსეთისთვის ჩაბარებას, რაც სახელმწიფო დანაშაულია.

– ისე, სააკაშვილის ქმედებებმა, მისმა პოლიტიკამ ქართული საზოგადოების გარკვეულ ნაწილს დასავლეთი შეაძულა. ყველა დარწმუნებულია, რომ დასავლეთიდან სააკაშვილს რჩევებს აძლევდნენ, ისიც ითვალისწინებდა და ოკუპაციის შესახებ კანონიც დასავლელების რჩევით მიიღო. საინტერესოა, სააკაშვილმა ვისი რჩევით და ინიციატივით დაწერა ოკუპაციის შესახებ კანონი?

– ეს კანონი დასავლეთმა საჯაროდ დაგმო. რა ზიანიც პირადად სააკაშვილმა თავის თანამზრახველებთან ერთად მიაყენა დასავლეთს საქართველოში, იმდენი ზიანი არავის მიუყენებია.

– ისეთი შთაბეჭდილება შემექმნა, რუსეთთან მოლაპარაკებები რომ ვცადოთ, იმგვარად წარიმართება, როგორც ზემოთ ხსენებული კონფერენცია.

– მოლაპარაკება საქართველოსა და რუსეთს შორის საერთოდ არ წარიმართება.

– რატომ? არის წითელი ხაზები, რომელსაც ჩვენ ვერ გადავაბიჯებთ და კრემლის მესვეურებიც არ თმობენ?

– რუსეთის ხელისუფლებას ღიად, საჯაროდ აქვს გამოცხადებული, რომ კრემლი საერთოდ არ განიხილავს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის სტატუსს. მათთვის ჩვენი ეს რეგიონები დამოუკიდებელ სახელმწიფოებადაა აღიარებული. ეს ბევრჯერ ითქვა. ამას სულ იმეორებენ.

– ამიტომაც, რაზე უნდა მოველაპარაკოთ, როდესაც კრემლს თავისი დამოკიდებულება წინასწარ აქვს უმაღლეს დონეზე გაცხადებული.

– გეთანხმებით, მაგრამ აზრი აქვს იმას, რასაც აკეთებს აბაშიძე. აბაშიძე-კარასინის ფორმატმა საოცრად ეფექტურად იმუშავა იმ პოლიტიკურ და ეკონომიკურ სივრცეში, რომელშიც არ ეხებიან აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის სტატუსს. კერძოდ, ნულიდან დაიწყეს და შემდეგ თანდათან განავითარეს ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობა, ტურიზმი გაიზარდა (ფანტასტიკური ციფრებია), ღვინოების გატანა და სხვა.

როდესაც ჩვენი სახელმწიფოს ყოფნა-არ ყოფნის საკითხი დგას, აქ მუდმივი ლაპარაკი უნდა იყოს იმაზე, ვითარება არ გაუარესდეს. რუსეთთან ურთიერთობაში გარკვეული მიმართულებით უკეთესობაა და რუსეთიდან მილიონობით ტურისტი შემოდის. ტურისტი ფულს ტოვებს და ვაჭრობის კატასტროფულ დეფიციტს, ექსპორტ-იმპორტის კატასტროფულ დეფიციტს რაღაცნაირად მაინც ეხმარება და ხელს უწყობს სახელმწიფოს, რომ არ ჩამოიშალოს. ამიტომ ჩვენს მოსახლეობას რაღაცნაირად უნდა შევახსენოთ რეალიზმი.

სოხუმში შევარდნაძის დაკავება იგეგმებოდა, მაგრამ არძინბამ ოპერაცია შეაჩერა

ოკუპირებულ აფხაზეთში უსაფრთხოების განსაკუთრებული რეჟიმი შემოიღეს

მარიამ მჭედლიშვილი

სექტემბრის ბოლო დეკადა ოკუპირებულ აფხაზეთში ომში „გამარჯვების“ ზეიმებს ეძღვნება. წელს აფხაზეთის მოვლენების 25 წლისთავია. ამის გამო ღონისძიებების რაოდენობა გაიზარდა.

ამ დღეებში აფხაზეთის ძალოვნებმა უსაფრთხოების განსაკუთრებული რეჟიმი შემოიღეს. ძალოვნების მთელი შემადგენლობა სოხუმშია მობილიზებული. გამკაცრებულია მიმოსვლა ენგურსა და ფსოუზე. ენგურზე ხალხს მხოლოდ განსაკუთრებული საშვებით ატარებენ. საგანგებო საშვები დაიშვება იმათთვის, ვისაც ჯანმრთელობის პრობლემები აქვს.

შინაგან საქმეთა მინისტრმა ჰარი არშბამ მიმართა ადგილობრივებს და სტუმრებს, დაიცვან გზებზე მოძრაობის წესები და არ მიუსხდნენ ავტომობილის საჭეს არაფხიზელ მდგომარეობაში.

შსს-ს თანამშრომლებს მიეცათ საეჭვო ტრანსპორტის ჩხრეკის უფლება. აფხაზეთის მილიცია შიშობს, რომ მანქანაში ცეცხლსასროლი იარაღის არსებობა გახდება სროლის დაწყების საბაბი.

აფხაზები თოფს ქორწილებში ისვრიან. საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში სროლის ტრადიცია არ არსებობს. აფხაზეთში ჩამოსული სტუმრების რაოდენობაც მოკრძალებულია.

როგორც ჩანს, დე ფაქტო პრეზიდენტი ხაჯიმბა საგანგებო ზომებს სხვა მიზეზით მიმართავს. აფხაზეთში ვრცელდება ხმები მოსალოდნელი რევოლუციის შესახებ. ამ ინფორმაციით, მორიგი გადატრიალება ოქტომბრის დასაწყისში მოხდება. ხალხის დიდი უკმაყოფილება არსებული სიტუაციით ამის საფუძველს იძლევა.

ოფიციალური ინფორმაციით, 30 სექტემბერს დაგეგმილი ღონისძიებების ნუსხაში აღარ შედის „უკვდავი პოლკის“ მარში. სხვა წყაროები მარშს ისევ აანონსებენ.

30 სექტემბრის აღლუმში მონაწილეობა უნდა მიეღოთ კაზაკებს. აფხაზმა ვეტერანებმა ამის გამო მწვავე პროტესტი გამოთქვეს. მათი თქმით, კაზაკები რუსეთის იმპერიის მემკვიდრეები არიან. ეს იმპერია კავკასიის დაპყრობისას აფხაზებს ხოცავდა ან ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში ასახლებდა. ამიტომ კაზაკების მონაწილეობა აფხაზეთის ეროვნულ ღონისძიებებში მიუღებელია.

ოფიციალური მონაცემებით, 30 სექტემბერს სოხუმში დრამთეატრის მოედანზე გაიმართება აფხაზ-აბაზინელთა მსოფლიო კონგრესის მიერ ორგანიზებული სადღესასწაულო ღონისძიება. ამავე დღეს სოხუმის „დინამოს“ სტადიონზე კონცერტია დანიშნული. სტადიონზე უსაფრთხოების საგანგებო ზომები ტარდება.

გამოკითხული აფხაზები 25 წლის წინანდელ მოვლენებში უფრო ხშირად საქართველოს მაშინდელ ლიდერ ედუარდ შევარდნაძეს და მის რუს კოლეგა ბორის ელცინს ადანაშაულებენ. მათი მხრიდან ზოგადად ქართველების მიმართ აგრესია ნაკლებად იგრძნობა.

ომის თემაზე მიძღვნილ კონფერენციაზე გასაიდუმლოებული ფაქტები გაცხადდა. პოლკოვნიკმა, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა ვალიკო ფაჩულიამ განაცხადა, რომ ომის დროს იგეგმებოდა ედუარდ შევარდნაძის დაკავება სოხუმში. ამ საიდუმლო გეგმის შემუშავებაში მონაწილეობდა სირიის არმიის გენერალ-მაიორი ტეუკეშ ნური. მას საჰაერო-სადესანტო ოპერაციების ჩატარების გამოცდილება ჰქონდა.

იმ დროს, როცა გეგმის შესასრულებლად ყალიბდებოდა სპეცდანიშნულების რაზმი, აფხაზეთის ლიდერმა ვლადისლავ არძინბამ ოპერაცია შეაჩერა. ამის მიზეზი გახდა სატელეფონო ზარები. არძინბას დაურეკეს ელცინმა, გერმანიის კანცლერმა კოლმა, იაპონიის ექსპრემიერმა ნაკასონემ და სხვა სხვა ლიდერებმა. მათ იხსნეს შევარდნაძე.

შალვა ოგბაიძე: „თავიდანვე იყიდონ თეთრი ტაქსები და პრობლემა არ ექნებათ“

„ნელა მივდივართ, მაგრამ სწორი გზით“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს საკრებულოს დეპუტატი **შალვა ოგბაიძე** პასუხობს

– ბატონო შალვა, თბილისის მერმა ახალი რეგულაციების შესახებ ისაუბრა, რასაც დიდი პროტესტი მოჰყვა როგორც ტაქსის მძღოლების, ისე ოპოზიციური პარტიების მხრიდან. ფულის კეთების ახალი საშუალება, კორუფციული სქემა და რა შეფასებები არ მოვისმინეთ. რას იტყვით თქვენ?

– რეგულაცია, რომელიც მომავალი წლიდან დაიწყება, რაც გაცხადდა თბილისის მერის მიერ, არის შემადგენელი ნაწილი იმ დაპირებების რეალიზებისა, რომლებიც გაიცა მერიისა და საკრებულოს მიერ – ეს იყო საზოგადოებრივი ტრანსპორტის სისტემის გაუმჯობესება.

ეს იყო ინფრასტრუქტურული პროექტები, ეს იყო ქაოტური მშენებლობების და ურბანული პრობლემების მოგვარება, საცობებთან ბრძოლა და ასე შემდეგ. მათ შორის ერთ-ერთი გახლდათ სატაქსომოტორო სფეროში დაგროვილი პრობლემების მოგვარება. დასამალი არ არის, რომ თითოეულ ჩვენგანს ძალიან ხშირად არაჯეროვანი მომსახურება მიგვიღია.

– ოპონენტები გსაყვედურობენ, რომ პრობლემის მოგვარება ბოლოდან დაიწყეთ, ჯერ სხვა პრობლემები მოაწესრიგონ და მერე მიადგნენ ტაქსებსო.

– ამ პრობლემას ორი ბოლო აქვს. ერთი, საზოგადოების მოთხოვნა და სურვილი, რომ ვიმგზავროთ უსაფრთხოდ, კომფორტულად და გონივრულ ფასებში, ხოლო მეორე მხარეს არის ამ მეტად საპასუხისმგებლო შრომით დაკავებული ადამიანების ინტერესი.

ძალიან ბევრ მძღოლთან მაქვს შეხება. ისინი პირდაპირ არიან დაინტერესებულები, რომ მათ გვერდით არ იყვნენ ისეთი ადამიანები, რომლებიც სახელს გაუტეხენ ამ ძირძველ ტაქსისტებს, რომლებიც თავის ოჯახს ამ ალალი შრომით არჩენენ. ამ პრობლემის მოგვარების პირველი ნაბიჯები გადაიდგა.

– ლიცენზიებს გულისხმობთ?

– დიახ, ამ წუთისთვის 8 ათასზე მეტი ნებართვაა გაცემული და კიდევ მიემატება. პირველი ნაბიჯი საჭირო იყო იმისთვის, რომ დაგვედგინა, რამდენ ადამიანს აქვს სურვილი ამ სფეროში მუშაობის. ამიტომ პირველი ეტაპი ითვალისწინებდა რეგისტრაციას და სიმბოლური გადასახადის დაწესებას.

– სიმბოლურია ეს თანხა? ბევრმა ესეც გააპროტესტა.

– ეს არის 1 წლის განმავლობაში ჩვეულებრივ ძრავიანი ავტომობილებისთვის 100 ლარი – თვეში 8 ლარი. ჰიბრიდული ავტომობილებისთვის 50 ლარი, თვეში – 4 ლარი. ხოლო ელექტრომობილები საერთოდ გათავისუფლებულია ამ სანებართვო მოსაკრებისაგან.

ეს არის პირველი ნაბიჯი. შემდეგი ნაბიჯი იქნება უკვე ვიზუალი.

– რატომ თეთრი ტაქსები? ეს კითხვა თქვენმა ოპონენტებმა დასვეს.

– თეთრი იმიტომ, რომ თეთრი და ყვითელი ფერი ითვლება ყველაზე უსაფრთხო ფერებად. თეთრი ფერი აგებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ნისლში მოძრაობ და თბილისში ნისლი არა გვაქვს.

– მძღოლებისთვის გადაღებვა იქნება საკმაოდ ძვირადღირებული.

– გადაღებვას რომ ჩააცივდა ჩვენი ერთ-ერთი ოპონენტი, გერმანიიდან ჩამოყვანილი ტაქსების უმრავლესობა შეღებილი კი არ არის, ლამინირებულია უბრალოდ. ამიტომ სულაც არ არის საჭირო, რომ გადავღებოთ ავტომობილი.

ციფრები დასახელდა – 1.500 და 2.000 ლარი. ზღაპარია ეს ყველაფერი! ეს არის თითიდან გამოწოვილი. ვისაც ძალიან ძველი ავტომობილი ჰყავს, ის თავისთავად არ გამოდგება, ადრე თუ გვიან ხომ უნდა შეიძინოს ახალი? აი, ვინც ახლიდან დაიწყებს, ეცოდინება, რომ თეთრი შეიძინოს, ან სხვა ფერი, რომელსაც შემდგომ ლამინირებას გაუკეთებს. არ წარმოადგენს ეს ისეთ პრობლემას, რომ ამხელა ამბად ღირდეს.

– დღეს თბილისში უსაშველო საცობებია. ამ კუთხით რა ხდება? თბილისის ქუჩებში გადაადგილება შეუძლებელია, არ ვარგა საზოგადოებრივი ტრანსპორტი და რომელი ერთი ჩამოვთვალო.

– ჩვენი დედაქალაქი იყო ავტომობილზე ორიენტირებული დედაქალაქი, რომელიც ახლა უნდა გახდეს ქვეითზე ორიენტირებული. საჯარო სივრცე უნდა დაუბრუნდეს ჩვენს დედაქალაქს. პეკინის ქუჩა გაკეთდა, გაჩნდა ველობილიკი. იგივე კეთდება კოსტავას ქუჩაზე.

– კოსტავას ქუჩა ძალიან ვიწროვდება.

– ერთი მხრივ, ეს დავიწროვდება, მაგრამ ყველა ნახავს, ეს ცვლილება როგორ განტვირთავს სიტუაციას. ავტობუსებიც უკვე გზაშია. ახალი 92 ავტობუსია შეძენილი 10-მეტრიანები, შარშან 12-მეტრიანები შევიძინეთ, ამას დაემატება 8- მეტრიანებიც და ამ ვადის ამოწურვის შემდეგ თბილისში 900-მდე ახალი ავტობუსი იქნება.

ასევე ემატება მეტროს 14 შემადგენლობა და არა ვაგონი. თითო შემადგენლობაში 3-4 ვაგონია, რაც ლოდინის დროს 4,5 წუთიდან 2 წუთზე ჩამოიყვანს.

– მეტროც საშინლად გადატვირთულია, პიკის საათებში შესვლა შეუძლებელია.

– ჩვენი ძალისხმევა მიმართულია, რომ 14 შემადგენლობა უნდა დაემატოს. ამის წამალი არის ეს.

მთავარია სწორი გზით სიარული, რომ არ შეგვეშალოს მიმართულება. შეიძლება, ტემპია დაბალი, მაგრამ სწორი გზით მივდივართ. ეს ეტაპი უნდა გავიაროთ და ერთხელ და სამუდამოდ დავივიწყოთ. ჩვენი დედაქალაქი უნდა იყოს ჭკვიანი ქალაქი, სმარტქალაქი, რომელიც იქნება ადამიანზე ორიენტირებული!

– თუმცა ოპოზიცია ყველა ამ პროექტს იწუნებს და კრიტიკის ქარცეცხლში ატარებს, რაზეც თქვენ საუბრობთ. ნეტარ არიან მორწმუნენი.

– ნუ ახლა... ნეტარ არიან მორწმუნენი.

„სავაჭრო პარტნიორების ვალუტებთან ლარი სტაბილურობას ინარჩუნებს“

არასამთავრობო ორგანიზაცია „საზოგადოება და ბანკების“ ხელმძღვანელი გიორგი კეპულაძე წლის ბოლომდე ინფლაციის დონის მნიშვნელოვან მატებას არ ელოდება და ამბობს, რომ ის მიზნობრივ მაჩვენებელთან ახლოს შენარჩუნდება.

– მე ვიმედოვნებ, რომ მიზნობრივი მაჩვენებლის ირგვლივ დარჩება ინფლაცია და საშუალოდ 3% იქნება. მიმდინარე წლიური ინფლაცია არის 3.1%, რაც, მოგეხსენებათ, 3%-თან ძალიან ახლოსაა. შესაბამისად, ვიმედოვნებ, რომ არ გვექნება მნიშვნელოვანი ცვლილება თუ, ვთქვათ, ლარის კურსი შენარჩუნდა მაინც ასე თუ ისე სტაბილურად და ძალიან არ გაიქცა, – ამბობს გიორგი კეპულაძე.

რაც შეეხება ლარის კურსს, კეპულაძე ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ ლარი რეგიონის ვალუტების მიმართ სტაბილურობით გამოირჩევა, რაც, შესაძლოა, უფრო მნიშვნელოვანი იყოს, ვიდრე ლარისა და დოლარის მიმართება.

– ჩვენ იმპორტული საქონლის შემოტანა გვიწევს და იმპორტული საქონელი, მოგეხსენებათ, უნდა შევიძინოთ დოლარსა და უცხო ვალუტაში. თუმცა, ჩვენ სავაჭრო პარტნიორებთან ლარი მნიშვნელოვნად გაუფასურებული ნამდვილად არ არის, პირიქით, შეიძლება ითქვას, საკმაოდ სტაბილურია და სიმყარეს ინარჩუნებს. ეს გაცილებით მნიშვნელოვანია ეკონომიკისთვის, ვიდრე მხოლოდ დოლართან ლარის კურსის გაუფასურება, რადგან დოლართან ლარის კურსის გაუფასურება ყველაზე მეტად აზარალებს იმ ადამიანებს, ვისაც სესხი აქვთ დოლარში და ასევე, შედარებით გაჭირვებულ მოსახლეობას, ვისაც ყველაზე მეტად გაუძვირდა პირველადი მოხმარების პროდუქცია ან წამლები, – აცხადებს გიორგი კეპულაძე.

BM.GE

ბიზნესომბუდსმენი: „მივმართავთ შრომის ინსპექციას, რეესტრში რეგისტრაციის მდგომარეობის შემოწმება და სანქცირება გონივრული ვადით გადადოს“

– მომეტებული საფრთხის შემცველი მძიმე, მავნე და საშიშპირობებიანი სამუშაოების სავალდებულო რეგისტრაციის შესახებ მეწარმეები არ იყვნენ სათანადოდ ინფორმირებულები, – განაცხადა ირაკლი ლექვინაძემ მომეტებული საფრთხის შემცველი მძიმე, მავნე და საშიშპირობებიანი სამუშაოების ეკონომიკურ საქმიანობათა რეესტრში რეგისტრაციის ვადის გასვლის შესახებ საუბრისას.

ყველა ის პირი, რომელიც ახორციელებს საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრულ მომეტებული საფრთხის შემცველ მძიმე, მავნე და საშიშპირობებიან სამუშაოებს, ვალდებულია, შესაბამისი საქმიანობა ეკონომიკურ საქმიანობათა რეესტრში დაარეგისტრიროს. რეგისტრაციის ვადა დღეს იწურება და რეგისტრაციის გარეშე საქმიანობის განხორციელება გამოიწვევს მეწარმის დაჯარიმებას 1.000 ლარის ოდენობით.

– ბიზნესომბუდსმენის აპარატს მომართავენ მეწარმეები, რომლებიც მომეტებული საფრთხის შემცველ მძიმე, მავნე და საშიშპირობებიან სამუშაოებს ახორციელებენ და ვალდებულნი არიან მიმდინარე წლის 1 ოქტომბრამდე დაარეგისტრირონ შესაბამისი საქმიანობა ეკონომიკურ საქმიანობათა რეესტრში. მეწარმეები არ არიან სათანადოდ ინფორმირებულები ახალი ვალდებულების შესახებ. მათმა დიდმა ნაწილმა ბოლო დღეებში შეიტყო საქმიანობის რეგისტრაციის ვალდებულების თაობაზე და რომ რეგისტრაციის არ ქონის შემთხვევაში, 1000 ლარით დაჯარიმდებიან. ამიტომ მეწარმეებმა იუსტიციის სახლს რეგისტრაციისთვის ბოლო დღეს მიმართეს, რამაც რიგები გამოიწვია. შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, მივმართავთ შრომის ინსპექციას, მომეტებული საფრთხის შემცველი მძიმე, მავნე და საშიშპირობებიანი სამუშაოების ეკონომიკურ საქმიანობათა რეესტრში რეგისტრაციის მდგომარეობის შემოწმება და შესაბამისი სანქცირება გონივრული ვადით გადადოს, – განაცხადა ბიზნესომბუდსმენმა.

ერთ თვეში საბანკო სისტემის სადეპოზიტო ვალდებულებები 5.1%-ით გაიზარდა

2018 წლის აგვისტოში, წინა თვესთან შედარებით, საბანკო სისტემის სადეპოზიტო ვალდებულებები 1,045,6 მლნ ლარით (5.1 პროცენტით) გაიზარდა და 21.6 მლრდ ლარს გაუტოლდა.

2017 წლის შესაბამის პერიოდთან მიმართებაში, მთლიანი დეპოზიტების მოცულობა 21.0 პროცენტით არის გაზრდილი. სადეპოზიტო ვალდებულებების ზრდაზე გავლენა ძირითადად მოახდინა ლარის გაუფასურების შედეგად უცხოური ვალუტის დეპოზიტების ლარით გამოსახული მაჩვენებლის ზრდამ.

ეროვნული ბანკის მიერ გამოქვეყნებული მონაცემების მიხედვით, საანგარიშო პერიოდში წინა თვესთან შედარებით, ლარით დენომინირებული დეპოზიტების მოცულობა 0.9 მლნ ლარით (0.1 პროცენტით) შემცირდა და 8.03 მლრდ ლარი შეადგინა.

ვადიანმა დეპოზიტებმა – 71.1 მლნ ლარით, იურიდიული პირების დეპოზიტებმა კი 46.5 მლნ ლარით მოიკლო. უცხოური ვალუტით დენომინირებულ დეპოზიტებზე 2.8 პროცენტიანი (142.8 მლნ დოლარი) ზრდა დაფიქსირდა და პერიოდის ბოლოს 5.24 მლრდ დოლარი შეადგინა. აღნიშნული მატება ძირითადად იურიდიული პირების მიმდინარე ანგარიშების ზრდით იყო განპირობებული. სავალუტო და სალარო დეპოზიტების ზრდის ტემპებიდან გამომდინარე, დეპოზიტების დოლარიზაციის მაჩვენებელი, 2018 წლის აგვისტოში 0.9 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და 62.8 პროცენტს შეადგენს.

საანგარიშო პერიოდის ბოლოს, იურიდიული და ფიზიკური პირების დეპოზიტების დოლარიზაცია, შესაბამისად, 54.8 და 76.3 პროცენტს შეადგენდა. აგვისტოში, საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთები დეპოზიტებზე 0.3 პროცენტული პუნქტით შემცირდა და შეადგენს 5.6 პროცენტს. ეროვნული ვალუტით მოზიდულ დეპოზიტებზე ბანკების მიერ გადახდილი სარგებლის წლიური საშუალო შეწონილი განაკვეთი წინა პერიოდთან შედარებით 0.8 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 7.5 პროცენტი შეადგინა.

იურიდიული პირების ეროვნული ვალუტით დეპოზიტებზე საპროცენტო განაკვეთი წინა თვესთან შედარებით 1.0 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 7.1 პროცენტი შეადგინა. ფიზიკური პირების დეპოზიტებზე წლიურმა განაკვეთებმა 0.2 პროცენტული პუნქტით მოიკლო და 8.9 პროცენტს შეადგენს. უცხოური ვალუტით მოზიდული დეპოზიტების წლიური განაკვეთი უცვლელია და 3.0 პროცენტს შეადგენს. უცხოური ვალუტით იურიდიული პირების დეპოზიტებზე საპროცენტო განაკვეთები 0.4 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 3.4 პროცენტია, ხოლო ფიზიკური პირების დეპოზიტებზე განაკვეთი უცვლელია და 2.9 პროცენტს შეადგენს.

2017 წლის აგვისტოში არსებულ განაკვეთებთან შედარებით, ეროვნული ვალუტით დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთები 1.0 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 7.5 პროცენტს შეადგენს, ხოლო უცხოური ვალუტით განთავსებულ დეპოზიტებზე დარიცხულმა სარგებელმა 0.1 პროცენტული პუნქტით 3.0 პროცენტამდე იკლო

„კომერსანტი“

ნოდარ ხადური: „ლონდონში წასვლის და ადვოკატის ფული არ მაქვს“

ფინანსთა ყოფილი მინისტრი და კონკურენციის სააგენტოს ხელმძღვანელი, ნოდარ ხადური ტელეკომპანია „იბერიას“ სკანდალურ საქმესთან დაკავშირებით მზად არის, კითხვებს უპასუხოს, თუმცა ამბობს, რომ ლონდონში გასამგზავრებლად ფინანსური რესურსი არ აქვს.

ნოდარ ხადური აცხადებს, რომ მას არც ერთ გარიგებაში მონაწილეობა არ მიუღია და არც სხვისთვის მიუცია უფლება, რომ მისი სახელით ესაუბრა.

– იბერიას საქმესთან დაკავშირებით ჩემი სახელი და გვარი არ ფიგურირებს, ისევე, როგორც ჩემი გვარი და სახელი არ ფიგურირებს არც ერთ სხვა საქმეში, მათ შორის, არც ომეგა ჯგუფთან.

არ ვიცი, რაზე საუბრობდა ორი ადამიანი. ჩემთვის აბსოლუტურად წარმოუდგენელ თემებზე საუბრობენ, იმიტომ, რომ ნოდარ ხადურს არავისთვის არასდროს არაფერი უთხოვია. არავისთვის მიუცია რწმუნება, რომ მისი მისი სახელით ესაუბრა ბიზნეს სუბიექტებთან. ნოდარ ხადურს ეგრე არ უცხოვრია და არც უმუშავია.

ხადურის ფინანსთა მინისტრად მუშაობისას მთავარი მიღწევა იყო, რომ საგადასახადო და საბაჟო სამსახური, ისევ, როგორც საგამოძიებო სამსახური, გათავისუფლდა პოლიტიკური წნეხისგან, ეს არის ნოდარ ხადურის გაკეთებული საქმე. ჯერ მიკვირს, რატომ ლონდონის სასამართლო? იმიტომ, რომ არ ვარ დიდი ბრიტანეთის მოქალაქე და არც ისინი არიან.

ძალიან გულწრფელად მინდა ვთქვა, არც ერთ კითხვაზე პასუხს არ გავურბივარ და გავცემ, მაგრამ თუ ვინმეს ჰგონია, რომ მე შემიძლია ჩემი რესურსებით ჩავიდე ლონდონში, ვიქირავო თარჯიმანი და ადვოკატი, ძალიან ცდება, – აცხადებს ხადური.

შსს-მ მალხაზ კობაურის ხადას ხეობაში ჩაყვანასა და დაკითხვაზე უარი განაცხადა

შს სამინისტრომ სმიტების ოჯახის მკვლელობაში ბრალდებულის ხადას ხეობაში ჩაყვანაზე უარი განაცხადა.

ბრალდებული მწყემსის დედა ამბობს, რომ მკვლელობა შეკვეთილი იყო. მარიამ მარტიაშვილი ამბობს, რომ ხეობაში ჩასვლა და იქ დაკავებულის დაკითხვა ბევრ კითხვას ნათელს მოჰფენდა.

– ბევრ რაღაცას აეხდებოდა ფარდა, იქ რომ წასულიყვნენ. იციანმ იქ რაც მოხდა. ჩემი შვილი რისი გამკეთებელი იყო, ისიც კარგად იციან, თვითონ სამარეს გაითხრიდნენ და იმიტომ არ წავიდნენ – იმიტომ, რომ ეს არის მათი დაგეგმილი მკვლელობა. მთავრობის დაგეგმილი მკვლელობა, – ამბობს მარიამ მარტიაშვილი.

მისი თქმით, არაერთი მოთხოვნის მიუხედავად, მან შვილის ვერც მონახულება და ვერც ტელეფონით გასაუბრება ვერ შეძლო.

კობაურის ადვოკატი ამბობს, რომ შს სამინისტროს ხადას ხეობაში ახალი საგამოძიებო მოქმედების ჩატარება არ სურს, რადგან ეს მტკიცებულება დაცვის მხარის მტკიცებულება იქნება.

რუსთავში 5 თვის ბავშვი გარდაიცვალა

მშობლებს და პოლიციას შორის დაპირისპირება მოხდა

რუსთავში 5 თვის ბავშვი გარდაიცვალა.

მცირეწლოვანი 3 დღის წინ ცუდად გახდა. ბავშვი ჯერ რუსთავის ცენტრალურ საავადმყოფოში, შემდეგ კი ჟვანიას სახელობის კლინიკაში გადაიყვანეს, სადაც 27 სექტემბერს გარდაიცვალა.

მშობლების თქმით, მცირეწლოვანს 4 ოპერაცია ჩაუტარდა, ბოლოს კი გული გაუჩერდა.

ბავშვი რუსთავში სახლში გადმოასვენეს, საიდანაც, პოლიციის მოთხოვნით, სამხარაულის სახელობის პროზექტურაში გადაიყვანეს.

მშობლები და ოჯახის ახლობელი ითხოვდნენ, რომ ბავშვი არ გაეკვეთათ. ისინი მოითხოვდნენ შენობაში შესვლას, თუმცა პოლიციამ მათი მოთხოვნა არ დააკმაყოფილა და პერიმეტრზე შესვლის უფლება არ მისცა, რის გამო პოლიციასა და მშობლებს შორის დაპირისპირება მოხდა.

რამდენიმესაათიანი ლოდინის შემდეგ მშობლებს ბავშვი გაკვეთილი გაატანეს. ექსპერტმა ბავშვის ცხედარი გარდაცვალების მიზეზის დადგენის მიზნით გაკვეთა.

ინფორუსთაავი

ხატია მოისწრაფიშვილი: „შემოსავლების სამსახურს „ომეგა ჯგუფის“ დაყადაღებული ქონების რეალიზაციის უფლება მიეცა“

„ომეგა ჯგუფთან“ დაკავშირებით ფინანსთა სამინისტრო და შემოსავლების სამსახური ახორციელებენ კანონმდებლობით გათვალისწინებულ ღონისძიებებს, საგადასახადო დავალიანების აღსაკვეთად და არსებული დავალიანების ამოსაღებად.

ამის შესახებ სსიპ – შემოსავლების სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და მარკეტინგის დეპარტამენტის უფროსმა ხატია მოისწრაფიშვილმა 28 სექტემბერს გამართულ ბრიფინგზე განაცხადა.

„ბოლო პერიოდში, „ომეგა ჯგუფის“ ირგვლივ განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით, მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის გათვალისწინებით, გვსურს წარმოგიდგინოთ დეტალური ინფორმაცია საქმესთან დაკავშირებული გარემოებების შესახებ:

პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ გადასახადების გადახდის ვალდებულება არის კონსტიტუციური ნორმა.

გადასახადების გადახდა სავალდებულოა კანონით დადგენილი ოდენობითა და წესით.

გადასახადები ირიცხება ბიუჯეტში, საიდანაც თანხები ნაწილდება სხვადასხვა სოციალური თუ ეკონომიკური პროგრამის დასაფინანსებლად, განათლებისა და ჯანდაცვის სისტემების შესანახად, ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის და ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად და ა.შ. შესაბამისად, გადასახადების მობილიზება წარმოადგენს მნიშვნელოვან საჯარო ინტერესს.

შპს „ოჯთ“-მ, როგორც გადასახადის გადამხდელმა, დაარღვია გადასახადების სრულად და დროულად გადახდის ვალდებულება და საგადასახადო დავალიანება თავდაპირველად წარმოეშვა 2014 წლის ოქტომბერში, 18.444 ლარის ოდენობით.

2015 წლის მარტის მდგომარეობით, კომპანიის საგადასახადო დავალიანება გაიზარდა 147.952 ლარამდე, ამასთან, ამავე პერიოდში, კომპანიის თხოვნით გაუქმდა მის მიმართ გამოყენებული საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის უფლება მთელ ქონებაზე (გარდა დავის პერიოდში უზრუნველსაყოფად წარმოდგენილი ერთი უძრავი ქონებისა). აღნიშნული პერიოდიდან მოყოლებული, გადამხდელს ასევე ერიცხებოდა მიმდინარე გადასახადები, რომლებსაც სრულად არ იხდიდა და დავალიანება იზრდებოდა.

2015 წლის დეკემბრის მდგომარეობით, შპს „ოჯთ“-ის საგადასახადო დავალიანება გაიზარდა 1.486.696 ლარამდე. კომპანიამ ითხოვა, 2016 წლის იანვრამდე მის მიმართ არ გამოყენებულიყო იძულებითი ღონისძიებები. აღნიშნული თხოვნა დაკმაყოფილდა.

2016 წლის 6 იანვრის მდგომარეობით შპს „ოჯთ“-ის დავალიანება გაიზარდა 1.496.797 ლარამდე. კომპანიის თხოვნის საფუძველზე, მასთან გაფორმდა გრაფიკი, თუმცა, იმავე თვეს დაარღვია მიმდინარე გადასახადების გადახდის ვალდებულება და ითხოვა ახალი გრაფიკის გაფორმება, რისთვისაც საკუთარ ქონებასთან ერთად წარმოადგინა თავდების – ზაზა ოქუაშვილის – ერთი უძრავი ქონებაც.

2016 წლის 26 იანვრის მდგომარეობით, შპს „ოჯთ“-ის საგადასახადო დავალიანება გაიზარდა 3.402.943 ლარამდე. ამასთან, დაკმაყოფილდა გადამხდელის თხოვნა და გაუფორმდა ახალი გრაფიკი, რომელსაც არღვევდა თითქმის ყველა თვეში და პარალელურად, მოგვმართავდა თხოვნით, არ გაუქმებულიყო გრაფიკი და მის მიმართ არ გავრცელებულიყო იძულებითი ღონისძიებები. ასეთი თხოვნებით მოგვმართავდა შემდეგი პერიოდულობით:

19.02.2016 – საგადასახადო დავალიანება გაიზარდა 4.807.314 ლარამდე, ითხოვა 3 თვით გადავადება;

21.03.2016 – საგადასახადო დავალიანება გაიზარდა 6.907.586 ლარამდე, ითხოვა 6 თვით გადავადება;

19.04.2016 – საგადასახადო დავალიანება გაიზარდა 8.710.134 ლარამდე, ითხოვა 2016 წლის ბოლომდე გადავადება;

18.05.2016 – საგადასახადო დავალიანება გაიზარდა 10.037.802 ლარამდე, ითხოვა 2016 წლის ბოლომდე გადავადება;

კომპანიის ყველა ზემოხსენებული თხოვნა დაკმაყოფილდა.

2016 წლის 8 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის საგადასახადო დავალიანება გაიზარდა 20.283.115 ლარამდე. საბოლოოდ, 2016 წლის დეკემბერში გაუქმდა გრაფიკი და გამოიცა ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ ბრძანება.

2016 წლის 13 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის დავალიანება გაიზარდა 20.328.962 ლარამდე. ამასთანავე, შპს „ოჯთ“-მ ითხოვა 3 თვით გაუქმებულიყო ყადაღა და არ დადებოდა ინკასო. გადამხდელის ეს თხოვნაც დაკმაყოფილდა და გაუქმდა ყადაღა.

2017 წლის 27 მარტის მდგომარეობით, კომპანიის დავალიანება გაიზარდა 29.416.894 ლარამდე.

წინა გადაწყვეტილების ვადის გასვლისა (3 თვით ყადაღის გაუქმების შესახებ) და დავალიანების გაზრდის შემდეგ, 2017 წლის მარტში, გადამხდელის მთელი ქონება ისევ დაიტვირთა საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის უფლებით და დაყადაღდა. ასევე, საბანკო ანგარიშებზე წარდგენილ იქნა საინკასო დავალებები. დაყადაღდა თავდების, ზაზა ოქუაშვილის, ქონებაც.

2017 წლის 11 მაისის მდგომარეობით, კომპანიის დავალიანება გაიზარდა 30.500.389 ლარამდე.

ამავე პერიოდში, შპს „ოჯთ“-მ კვლავ მოგვმართა საბანკო ანგარიშებზე წარდგენილი საინკასო დავალებების და სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობებზე ყადაღის 6 თვის ვადით გაუქმების თხოვნით, იმ პირობით, რომ კომპანია დროულად გადაიხდიდა დარიცხულ მიმდინარე გადასახადებს. აღნიშნული თხოვნა დაკმაყოფილდა – გაუქმდა საბანკო ანგარიშებზე წარდგენილი საინკასო დავალებები და ყადაღა სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობებზე 6 თვით.

ამის შემდეგ, კომპანიამ კიდევ ითხოვა იძულებითი ღონისძიებების გადავადება, რადგან ფინანსთა სამინისტროში წარდგენილი ჰქონდა განცხადება საგადასახადო დავალიანების რესტრუქტურიზაციის თაობაზე.

მთლიანობაში, კომპანიამ 11-ჯერ მოგვმართა თხოვნით, რათა მის მიმართ არ გამოყენებულიყო იძულებითი ღონისძიებები და ყველა მისი თხოვნა დაკმაყოფილდა. თუმცა, 2017 წლის ბოლოდან გადამხდელი კვლავ აღარ იხდიდა სრულად დარიცხულ გადასახადებს, რის შედეგადაც დავალიანების ძირითადი თანხა 26 მილიონი ლარიდან გაიზარდა 38 მილიონ ლარამდე.

ბოლოს, იძულებითი ღონისძიებების არგამოყენების თხოვნით კომპანიამ მოგვმართა 2018 წლის თებერვალში (14.02.2018), როდესაც მისი დავალიანება გაზრდილი იყო 35.225.782 ლარამდე.

კომპანიის თხოვნა იძულებითი ღონისძიებების არგამოყენების თაობაზე აღარ დაკმაყოფილდა და 2018 წლის აგვისტოში დაედო ინკასო ანგარიშებს და დაყადაღდა სასაქონლო მარაგებიც.

2018 წლის 07 აგვისტოს მდგომარეობით კომპანიის დავალიანება გაიზარდა 49.159.970 ლარამდე.

ზემოთ მოყვანილი ფაქტობრივი ინფორმაციის გათვალისწინებით, ნათელია, რომ საქმე ეხება გადამხდელს, რომელიც სისტემატიურად არღვევდა არაერთხელ გადავადებულ საგადასახადო ვალდებულებებს და ნაცვლად იმისა, რომ გადაეხადა და შეემცირებინა საგადასახადო დავალიანება, პირიქით, მუდმივად ზრდიდა დავალიანების ოდენობას.

ამ პირობებში, როდესაც კომპანიას უკვე დარღვეული ჰქონდა საგადასახადო დავალიანების გადახდევინების გადავადების შესახებ გაფორმებული ხელშეკრულებები, ასევე საკუთარი განცხადებით ნაკისრი პირობა მიმდინარე გადასახადების დროულად გადახდის შესახებ, საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული „ვადაგადაცილებული საგადასახადო დავალიანებებისა და სასესხო დავალიანებების რესტრუქტურიზაციის მიზანშეწონილობის საკითხის შემსწავლელი კომისიის“ მოწვევა და გრძელვადიანი რესტრუქტურიზაციის განხილვა, საფუძველშივე უპერსპექტივო იყო. ამ გადაწყვეტილების მართებულობა დადასტურდა კომპანიის შემდგომი ქმედებებითაც (დავალიანების მუდმივი ზრდით).

ზემოხსენებული რისკების გათვალისწინებით, გადასახადების ამოღების საჯარო ინტერესისა და კომპანიისათვის სამეწარმეო საქმიანობის გაგრძელების ინტერესის გათვალისწინებით, შპს „ოჯთ“-ს საგადასახადო დავალიანების გადახდევინების გადავადების მექანიზმით და მის მიმართ იძულებითი ღონისძიებების არგამოყენებით, არაერთხელ მიეცა შესაძლებლობა, შეუფერხებლად ეწარმოებინა სამეწარმეო საქმიანობა და პარალელურად გადაეხადა საგადასახადო დავალიანება, თუმცა კომპანიამ არათუ შეამცირა საგადასახადო დავალიანება, არამედ, ისევ გააგრძელა საგადასახადო ვალდებულებების დარღვევა და დავალიანების გაზრდა.

შესაბამისად, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო და სსიპ შემოსავლების სამსახური ახორციელებენ კანონმდებლობით გათვალისწინებულ ღონისძიებებს, საგადასახადო დავალიანების გაზრდის აღსაკვეთად და არსებული დავალიანების ამოსაღებად.

დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ 2018 წლის მარტში შემოსავლების სამსახურმა მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს შპს „ოჯთ“-ს დაყადაღებული ქონების რეალიზაციაზე ნებართვის მისაღებად.

თბილისის საქალაქო სასამართლომ 2018 წლის ივნისში დააკმაყოფილა შემოსავლების სამსახურის მოთხოვნა, რომელიც კომპანიამ გასაჩივრა სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 25 ივლისის გადაწყვეტილებით, არ დაკმაყოფილდა კომპანიის საჩივარი და შემოსავლების სამსახურს საბოლოოდ მიეცა ნებართვა დაყადაღებული ქონების რეალიზაციაზე“, – ნათქვამია შემოსავლების სამსახურის განცხადებაში.

კომპანია „კოლორპაკი“ პროკურატურას დოკუმენტებს 1 ოქტომბერს გადასცემს

კომპანია „კოლორპაკი“ პროკურატურას დოკუმენტებს 1 ოქტომბერს გადასცემს.

როგორც კომპანიის დირექტორმა გიორგი ჟორჟოლიანმა ჟურნალისტებს განუცხადა, დოკუმენტები 28 სექტემბერს უნდა გადაეცათ პროკურატურისთვის, თუმცა, საგამოძიებო უწყების გადაწყვეტილებით, დოკუმენტებს ორშაბათს გადასცემენ.

როგორც გიორგი ჟორჟოლიანმა აღნიშნა, კომპანიის დოკუმენტაცია წესრიგშია.

– ჩვენ ვიმყოფებით საამქროში, სადაც ვბეჭდავთ ყველა ტიპის ეტიკეტს დიდი და მცირე მეწარმეებისთვის. ამ საამქროს აღჭურვა მოხდა პროექტის „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში თანადაფინანსებით, ჩვენ მიერ „თიბისი ბანკში“ აღებული კრედიტით. ეს კრედიტი 2014 წლის ბოლოს ავიღეთ და თანადაფინანსების ნაწილი დასრულდა 2016 წლის ბოლოს. ამ საამქროში არის ევროპული უმაღლესი ხარისხის მანქანა-დანადგარები.

აგვისტოს მონაცემებით, 2014 წლიდან „აწარმოე საქართველოს“ მიერ მხარდაჭერილია 393 პროექტი. „კოლორპაკის“ თანადაფინანსების ფარგლებში, 2015-2016 წლებში „აწარმოე საქართველოს“ მიერ მოხდა სესხის პროცენტის დაფარვა 690.000 ლარის ოდენობით. 2015-2018 წლებში კი „კოლორპაკის“ მიერ ბიუჯეტში გადასახადების სახით გადაირიცხა 1.780.000 ლარი. ასე რომ, სახელმწიფოსთვის საკმაოდ მომგებიანი პროექტია, – განაცხადა ჟორჟოლიანმა.

მისივე თქმით, პროკურატურამ 2014-2018 წლების დოკუმენტაცია მოითხოვა, რაც ელექტრონულად სრულად გადასცეს, ხოლო ფიზიკურად ორშაბათს გადასცემენ საგამოძიებო უწყებას.

– ძალიან მიკვირს ასეთი მოთხოვნები, რადგან მართლა უცნაურია 2016 წელს დასრულებული პროექტის დოკუმენტაციის გარდა კიდევ დამატებითი ორი წლის დოკუმენტაციის მოთხოვნა, თუმცა მათ უკეთ იციან ალბათ თავის საქმე. ეტაპობრივად უნდა მივცეთ დოკუმენტები, რადგან დიდი მოცულობისაა და ასლების გადაღება რთულია, – განაცხადა ჟორჟოლიანმა.

„პალიტრამედიამ“ რამდენიმე დღის წინ განცხადება გაავრცელა, სადაც საუბარია, რომ 24 სექტემბერს, „პალიტრამედიას“ სტამბაში (შპს „კოლორპაკი“) შევიდნენ მთავარი პროკურატურის გამომძიებლები და მოითხოვეს 01.01.14-დან 11.09.18-ის ჩათვლით „სრული სამართლებრივი, საბუღალტრო, ფინანსური და ეკონომიკური დოკუმენტაცია (დედანი) და საწარმოს ამავე პერიოდის კორესპონდენცია (დედანი)“.

ტრამპს მადუროსთან შეხვედრა სურს

აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა განაცხადა, რომ ვენესუელასთან ურთიერთობების მოგვარება სურს, საამისოდ კი ერთადერთი გზაა მოლაპარაკებები.

– მზად ვარ, ვენესუელის პრეზიდენტ მადუროს შევხვდე და ყველა პრობლემა მოვაგვარო, – თქვა ტრამპმა.

დადგენილია სკრიპალების მოწამვლაში კიდევ ერთი ეჭვმიტანილი

დადგენილია სკრიპალებზე თავდასხმაში კიდევ ერთი ეჭვმიტანილის ვინაობა. თანახმად ინგლისის კონტრდაზვერვის ცნობისა, ისიც გრუ-ს ოფიცერია. მის გვარი ჯერჯერობით არ სახელდება.

ამ პიროვნებამ ადგილმდებარეობის დაზვერვა მოახდინა და დამხმარე როლს ასრულებდა.

უკრაინამ რუსული კომპანიების მიმართ სანქციები შემოიღო



უკრაინამ სანქციები შემოიღო იმ რუსული კომპანიების მიმართ, რომლებიც დონბასის ოკუპირებულ ნაწილში ბიზნესსაქმიანობას ეწევიან.

კერძოდ, საუბარია სეპარატისტების მიერ კონტროლირებადი საკონტროლო საგამშვებო პუნქტებიდან დონბასის ოკუპირებულ ნაწილში ტვირთის შემტან კომპანიებზე.

ამ გადაწყვეტილების ინიციატორი უკრაინის უშიშროების სამსახურია.

უკრაინის უშიშროების სამსახურის უფროსის, გენერალ გრიცაკის აზრით, რუსეთის მოქმედება საერთაშორისო სამართლის უხეშ დარღვევას წარმოადგენს და უკრაინას უდიდეს ეკონომიკურ ზარალს აყენებს.

ინგლისის საგარეო მინისტრი ლავროვს ელაპარაკა

ნიუ იორკში ერთმანეთს ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრი ჰანტი და რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ლავროვი შეხვდნენ.

საუბარი დაძაბულ ვითარებაში წარიმართა.

– მე საკითხს კატეგორიულად ვსვამ: ჩვენ ვერ შევეგუებით იმას, რომ რუსეთმა ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე ქიმიური იარაღი გამოიყენოს, – თქვა ჰანტმა.

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა ზახაროვამ ლავროვისა და ჰანტის შეხვედრა უარყო. მან თქვა, რომ არავითარ მოლაპარაკებებს ადგილი არ ჰქონია.

– ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრი სურვილს რეალობად ასაღებს, – თქვა ზახაროვამ.

ნიკოლ პაშინიანი: „არსებობს სომეხთა ახალი გენოციდის საფრთხე!“

გაეროს გენერალური ასამბლეის სესიაზე სომხეთის პრემიერი ნიკოლ პაშინიანი გამოვიდა. მან განაცხადა, რომ მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის სამხედრო გზით გადაჭრა შეუძლებელია. პაშინიანმა გააკრიტიკა აზერბაიჯანი, რომელიც, მისი აზრით, საომარ რიტორიკას განაგრძობს.

– აზერბაიჯანი კატეგორიულად მოითხოვს, რომ მთიანი ყარაბაღი აზერბაიჯანის შემადგენლობაში იყოს. თუკი ეს მოხდება, სომეხთა გენოციდის საფრთხე წარმოიქმნება, – თქვა პაშინიანმა.

აზერბაიჯანის ხელისუფლება, თავის მხრივ, კატეგორიულად მოითხოვს, რომ ყარაბაღი დაუბრუნდეს.

– არავითარი გენოციდი არ ყოფილა და არც იქნება! პირიქით, სომხეთმა ეთნოწმენდა თავად განახორციელა, – ამბობს პრეზიდენტი ალიევი.

გოგი ტეიზნაძეს
ვულოცავთ
დაბადების დღეს!
ვუსურვებთ
ჯანმრთელობას,
დღეგრძელობას,
წარმატებებსა და
უფლის
წყალობას.

ნატო და იზა

„გარდაცვლილი“ ახალშობილი პროზექტურაში გაცოცხლდა

ირანის ქალაქ ურმიაში, რომელიც დასავლეთ აზერბაიჯანის პროვინციაში მდებარეობს, გონს მოვიდა ახალშობილი, რომელიც გარდაცვლილად ჩათვალეს. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ადგილობრივი საინფორმაციო სააგენტო ავრცელებს.

ექვსი თვის ბავშვის გარდაცვალება საავადმყოფოში დაადგინეს. ექიმის მტკიცებით, ამაზე მეტყველებდა ის, რომ ჩვილი არ სუნთქავდა, არ ჰქონდა პულსი და არც სხვა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ფუნქციები მოქმედებდა. ამის შემდეგ ბავშვი პროზექტურაში გადაიყვანეს.

დაკრძალვის წინ რიტუალური ბანის დროს ბავშვს სიცოცხლის ნიშანწყალი დაეტყო. დამკრძალავი ორგანიზაციის ხელმძღვანელის აბას აბედინის თქმით, ბავშვის ნათესავები მომხდარმა გააოგნა და „სასწაულისთვის“ მადლიერნი არიან.

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

ნანა ნადარეიშვილი: მაწუხებდა დისბაქტერიოზი, პარალელურად დამეწყო თმის ცვენა, მივმართე ქალბატონ ლამარას, ჩავიტარე მკურნალობა მისი მითითებით. ორ კვირაში მქონდა იდეალური შედეგი.

ხვიჩა გოგია: კანზე მქონდა გამონაყარი, ქალბატონი ლამარას დამზადებული სითხეებით ორგანიზმი გავიწმინდე, ვიყენებდი მისივე დამზადებულ მალამოებს, შედეგი მაქვს. დიდი მადლობა ქალბატონ ლამარას.

ნათელა სამუშია: თმა საშინლად მცვიოდა. გამოვიყენე ლამარა თოდუას თმის სავლებები. ერთ თვეში კარგი შედეგი მომცა. მკურნალობას აუცილებლად გავაგრძელებ.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.
ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82

განცხადებები

სხვადასხვა

● სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 150 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● მკურნალობა მამაკაცებისათვის: პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, პოტენციის დაქვეითება (იმპოტენცია), კუჭ-ნაწლავის პრობლემების მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე, გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-87; 218-46-08 ექიმი მეგი.

● ძვლის პრობლემების მკურნალობა: კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული და პოდაგრული ართრიტი, ტკივილის, შეშუპების, შებოჭილობის მოხსნა, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე, დაზიანებული ხრტილისა და სახსარში სითხის ბალანსის აღდგენა-მკურნალობა უკუჩვენების გარეშე 100%-იანი გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

დერბეებისა და ლიდერთა ტური

სტატისტიკა, ფსონები

ასეც ხდება ხოლმე... რამდენიმე უქმეებზე თითქოს საინტერესო არაფერია და უცებ ისეთი ტური გამოჩნდება, დაჯექი და ისიამოვნე...

რა არის ასეთი? ინატრე, სულო და გულო... ინგლისში ჩელსი-ლივერპული – ლიდერთა ჯახი, ესპანეთში მადრიდული დერბია – რეალი ბერნაბეუზე დაუხვდება ატლეტიკოს... დერბია იტალიაში, რომაული – რომა ოლიმპიკოზე ისტუმრებს ლაციოს... და ტურის მატჩი იტალიაში, ჩემპიონობისთვის მებრძოლი იუვენტუსი და ნაპოლი ტურინში შეხვდებიან ერთმანეთს.

ინგლისი

29.09	ვესტ ჰემი-მანჩესტერი	4.2	3.7	1.85
29.09	არსენალი-უოტფორდი	1.44	5.0	6.0
29.09	ევერტონი-ფულემი	1.73	3.9	4.6
29.09	ნიუკასლი-ლესტერი	2.55	3.2	2.9
29.09	სიტი-ბრაიტონი	1.07	12.0	29.0
29.09	ჰადერსფილდი-ტოტენჰემი	7.0	4.4	1.47
29.09	ვულვზი-საუთჰემპტონი	1.83	3.5	4.6
29.09	ჩელსი-ლივერპული	2.8	3.5	2.45
30.09	კარდიფი-ბარნლი	2.55	3.0	3.1
01.10	ბორნმუთი-კრ.პალასი	2.25	3.4	3.2

ვესტ ჰემი-მანჩესტერი

ვესტ ჰემი: ***ტრავმ***-სავიერ ერნანდესი, მარკო არნაუტოვიჩი, ჯეკ უილშირი, ენდი კეროლი

მანჩესტერი: ***ტრავმ***-ნემანია მატიჩი, ანდერ ერერა, მარკუს რეშფორდი

არსენალი-უოტფორდი

არსენალი: ***ტრავმ***-ჰენრიკ მხითარიანი

უოტფორდი: ***ტრავმ***-ჟერარდ დეულოფე

ევერტონი-ფულემი

ევერტონი: ***ტრავმ***-სიმუს კულემანი, ფილ იაგიელკა

ფულემი: ***ტრავმ***-ტომ კირნეი

ნიუკასლი-ლესტერი

ნიუკასლი: ***ტრავმ***-არავინ

ლესტერი: ***ტრავმ***-ვეს მორგანი

სიტი-ბრაიტონი

სიტი: ***ტრავმ***-ბენჯამინ მენდი, კევინ დე ბრუინე

ბრაიტონი:***ტრავმ***-პასკალ გროსი

ჰადერსფილდი-ტოტენჰემი

ჰადერსფილდი:***ტრავმ***-რამადან სოჰბი

ტოტენჰემი:***ტრავმ***-უგო ლორისი

ვულვზი-საუთჰემპტონი

ვულვზი: ***ტრავმ***-ივან კაბალიერო

საუთჰემპტონი: ***ტრავმ***-არავინ

ჩელსი-ლივერპული

ჩელსი: ***ტრავმ***-მატეო კოვაჩიჩი

ლივერპული: ***ტრავმ***-ადამ ლალანა, ალექს ოქსლეიდ-ჩემბერლენი

ჯარდიფი-ბარნლი

კარდიფი:***ტრავმ***-ნათან მენდესლაინგი, ჰარი არტერი

ბარნლი: ***ტრავმ***-სტივ დეფო

ბორნმუთი-კრ.პალასი

ბორნმუთი: ***ტრავმ***-არავინ

კრ.პალასი: ***ტრავმ***-კრისტიან ბენტეკე, პაპე სარე

საბურნირო ცხრილი:

1.ლივერპული	6	6	0	0	14-2	18
2.სიტი	6	5	1	0	19-3	16
3.ჩელსი	6	5	1	0	14-4	16
4.უოტფორდი	6	4	1	1	11-6	13
5.ტოტენჰემი	6	4	0	2	12-7	12
6.არსენალი	6	4	0	2	12-9	12
7.მანჩესტერი	6	3	1	2	9-9	10
8.ბორნმუთი	6	3	1	2	10-11	10
9.ლესტერი	6	3	0	3	11-10	9
10.ვულვზი	6	2	3	1	6-6	9
11.კრ.პალასი	6	2	1	3	4-6	7
12.ევერტონი	6	1	3	2	8-11	6
13.ბრაიტონი	6	1	2	3	8-11	5
14.საუთჰემპტონი	6	1	2	3	6-9	5
15.ფულემი	6	1	2	3	8-13	5
16.ბარნლი	6	1	1	4	7-10	4
17.ვესტ ჰემი	6	1	1	4	5-11	4
18.ნიუკასლი	6	0	2	4	4-8	2
19.კარდიფი	6	0	2	4	3-14	2
20.ჰადერსფილდი	6	0	2	4	3-14	2

ესპანეთი

29.09	სოსიედადი-ვალენსია	2.25	3.5	3.1
29.09	ბარსელონა-ბილბაო	1.15	8.5	17.0
29.09	ეიბარი-სევილია	3.2	3.4	2.25
29.09	რეალი-ატლეტიკო	2.1	3.4	3.5
30.09	უესკა-ხირონა	2.45	3.25	3.0
30.09	ვილიარეალი-ვალიადოლიდი	1.6	4.0	5.8
30.09	ლევანტე-ალავესი	2.2	3.4	3.3
30.09	ბეტისი-ლეგანესი	1.75	3.7	4.8
01.10	სელტა-ხეტაფე	2.05	3.3	3.9

სოსიედადი-ვალენსია

სოსიედადი: ***ტრავმ***-ხუანმი ხიმენესი, თეო ერნანდესი

ვალენსია: ***ტრავმ***-დანი პარეხო, სანტი მინა

ბარსელონა-ბილბაო

ბარსელონა: ***ტრავმ***-კლემენ ლენგლე

ბილბაო: ***ტრავმ***-მარკელ სუსაეტა

ეიბარი-სევილია

ეიბარი: ***ტრავმ***-მარკ კარდონა

სევილია: ***ტრავმ***-მაქს გონალოსი, გაბრიელ მერკადო, სერხიო ესკუდერო, იბრაჰიმ ამადუ

ატლეტიკო-რეალი

რეალი: ***ტრავმ***-ისკო, დანი კარვახალი

ატლეტიკო: ***ტრავმ***-სანტიაგო არიასი

უესკა-ხირონა

უესკა: ***ტრავმ***-არავინ

ხირონა: ***ტრავმ***-არავინ

ვილიარეალი-ვალიადოლიდი

ვილიარეალი: ***ტრავმ***-სანტიაგო კასერესი

ვალიადოლიდი: ***ტრავმ***-დანიელ ვერდე

ლევანტე-ალავესი

ლევანტე: ***ტრავმ***-ნიკოლა ვუკჩევიჩი

ალავესი: ***ტრავმ***-არავინ

ბეტისი-ლეგანესი

ბეტისი: ***ტრავმ***-არავინ

ლეგანესი: ***ტრავმ***-ეზეკიელ მუნიოსი

სელტა-ხეტაფე

სელტა:***ტრავმ***-სოფიან ბუფალი

ხეტაფე: ***ტრავმ***-ივან ალეხო

საბურნირო ცხრილი:

1.ბარსელონა	6	4	1	1	17:7	13
2.რეალი	6	4	1	1	12:6	13
3.ატლეტიკო	6	3	2	1	8:4	11
4.ალავესი	6	3	2	1	9:6	11
5.სევილია	6	3	1	2	13:6	10
6.ესპანიოლი	6	3	1	2	6:4	10
7.სელტა	6	2	3	1	11:9	9
8.ბეტისი	6	2	3	1	4:5	9
9.ვილიარეალი	6	2	2	2	5:3	8
10.სოსიედადი	6	2	2	2	9:9	8
11.ხეტაფე	6	2	2	2	5:5	8
12.ხირონა	6	2	2	2	7:9	8
13.ეიბარი	6	2	1	3	5:7	7
14.ვალიადოლიდი	6	1	3	2	5:6	6
15.ბილბაო	5	1	3	1	7:9	6
16.ვალენსია	6	0	5	1	4:6	5
17.ლევანტე	6	1	1	4	9:13	4
18.ლეგანესი	6	1	1	4	6:11	4
19.რაიო	5	1	1	3	5:12	4
20.უესკა	6	1	1	4	6:16	4

გერმანია

29.09	ჰოფენჰაიმი-ლაიპციგი	2.1	3.8	3.1
29.09	ნიურნბერგი-ფორტუნა	2.1	3.4	3.4
29.09	შალკე-მაინცი	1.65	3.8	5.25
29.09	შტუტგარტი-ვერდერი	2.75	3.3	2.55
29.09	ვოლფსბურგი-გლადბახი	2.37	3.4	2.9
29.09	ლევერკუზენი-დორტმუნდი	2.9	3.4	2.37
30.09	აინტრახტი-ჰანოვერი	2.0	3.5	3.6
30.09	აუგსბურგი-ფრაიბურგი	1.95	3.4	4.0

ჰოფენჰაიმი-ლაიპციგი

ჰოფენჰაიმი:***ტრავმ***-კასიმ ადამსი

ლაიპციგი:***ტრავმ***-ლუკას კლოსტერმანი

ნიურნბერგი-ფორტუნა

ნიურნბერგი: ***ტრავმ***-ედგარ სალი

ფორტუნა: ***ტრავმ***-ანდრე ჰოფმანი

შალკე-მაინცი

შალკე: ***ტრავმ***-არავინ

მაინცი:***ტრავმ***-გერიტ ჰოლტმანი

შტუტგარტი-ვერდერი

შტუტგარტი:***ტრავმ***-ბორნა სოსა

ვერდერი: ***ტრავმ***-იუია ოსაკო

ვოლფსბურგი-გლადბახი

ვოლფსბურგი: ***ტრავმ***-ჯოშუა გოლავოგი

გლადბახი: ***ტრავმ***-არავინ

ლევერკუზენი-დორტმუნდი

ლევერკუზენი: ***ტრავმ***-ჩარლზ არანგისი

დორტმუნდი: ***ტრავმ***-პაკო ალკასერი, რაფაელ გუერერო

აინტრახტი-ჰანოვერი

აინტრახტი: ***ტრავმ***-ჯეტრო ვილემსი, კარლოს სალსედო

ჰანოვერი: ***ტრავმ***-ფელიპე

აუგსბურგი-ფრაიბურგი

აუგსბურგი: ***ტრავმ***-ჯი დონგვონი

ფრაიბურგი: ***ტრავმ***-პასკალ შტენცელი

საბურნირო ცხრილი:

1.ბაიერნი	5	4	1	0	12:3	13
2.დორტმუნდი	5	3	2	0	15:3	11
3.ვერდერი	5	3	2	0	10:6	11
4.ჰერტა	5	3	1	1	10:7	10
5.გლადბახი	5	3	1	1	10:7	10
6.ვოლფსბურგი	5	2	2	1	8:7	8
7.მაინცი	5	2	2	1	4:3	8
8.ლაიპციგი	5	2	2	1	8:8	8
9.ჰოფენჰაიმი	5	2	1	2	9:8	7
10.ფრაიბურგი	5	2	1	2	8:9	7
11.ლევერკუზენი	5	2	0	3	5:9	6
12.აუგსბურგი	5	1	2	2	7:8	5
13.ფორტუნა	5	1	2	2	5:6	5
14.ნიურნბერგი	5	1	2	2	4:10	5
15.აინტრახტი	5	1	1	3	6:9	4
16.ჰანოვერი	5	0	2	3	4:9	2
17.შტუტგარტი	5	0	2	3	3:9	2
18.შალკე	5	0	0	5	2:9	0

იტალია

29.09	რომა-ლაციო	2.45	3.4	2.9
29.09	იუვენტუსი-ნაპოლი	1.73	3.7	4.8
29.09	ინტერი-კალიარი	1.35	5.25	8.5
30.09	ბოლონია-უდინეზე	2.55	3.0	3.1
30.09	ფროზინონე-ჯენოა	3.4	3.25	2.25
30.09	კიევო-ტორინო	3.75	3.25	2.1
30.09	ფიორენტინა-ატალანტა	2.3	3.4	3.1
30.09	პარმა-ემპოლი	2.3	3.3	3.2
30.09	სასუოლო-მილანი	3.0	3.4	2.35
01.10	სამპდორია-სპალი	1.83	3.5	4.4

რომა-ლაციო

რომა: ***ტრავმ***-ანტე ჩორიჩი

ლაციო: ***ტრავმ***-შტეფან რადუ, ჯორდან ლუკაკუ

იუვენტუსი-ნაპოლი

იუვენტუსი: ***ტრავმ***-სამი ხედირა, ანდრეა ბარძალი

ნაპოლი: ***ტრავმ***-ვლად კირიკეში

ინტერი-კალიარი

ინტერი: ***ტრავმ***-სიმე ვრსალკო

კალიარი: ***ტრავმ***-არავინ

ბოლონია-უდინეზე

ბოლონია:***ტრავმ***-როდრიგო პალასიო

უდინეზე: ***ტრავმ***-მამადუ კულიბალი, სვანტე ინგელსონი

ფროზინონე-ჯენოა

ფროზინონე: ***ტრავმ***-რაი ვლოე

ჯენოა: ***ტრავმ***-ჯანლუკა ლაპადულა

კიევო-ტორინო

კიევო: ***ტრავმ***-ფილიპ ჯორჯევიჩი

ტორინო: ***ტრავმ***-კრისტიან ანსალდი

ფიორენტინა-ატალანტა

ფიორენტინა: ***ტრავმ***-დუშან ვლაჰოვიჩი

ატალანტა: ***ტრავმ***-მარკო ტუმინელო

პარმა-ემპოლი

პარმა: ***ტრავმ***-ალბერტო გრასი

ემპოლი: ***ტრავმ***-ლუკა ანტონელი

სასუოლო-მილანი

სასუოლო: ***ტრავმ***-ჯენს ობგაარდი

მილანი:***ტრავმ***-პატრიკ კურტონე, რიკარდო მონტოლივო

სამპდორია-სპალი

სამპდორია: ***ტრავმ***-რიკარდო საპორანა

სპალი: ***ტრავმ***-ფედერიკო ვივიანი, ლაზარ ნიკოლიჩი

საბურნირო ცხრილი:

1.იუვენტუსი	6	6	0	0	13:4	18
2.ნაპოლი	6	5	0	1	12:7	15
3.სასუოლო	6	4	1	1	14:8	13
5.ლაციო	6	4	0	2	9:6	12
5.ფიორენტინა	6	3	1	2	12:5	10
6.ინტერი	6	3	1	2	8:5	10
7.ჯენოა	5	3	0	2	9:10	9
8.სპალი	6	3	0	3	4:6	9
9.სამპდორია	6	2	2	2	9:3	8
10.რომა	6	2	2	2	11:9	8
11.უდინეზე	6	2	2	2	7:6	8
12.პარმა	6	2	1	3	6:8	7
13.ატალანტა	6	1	3	2	9:8	6
14.მილანი	5	1	3	1	8:8	6
15.ტორინო	6	1	3	2	5:7	6
16.კალიარი	6	1	3	2	4:7	6
17.ემპოლი	6	1	2	3	5:7	5
18.ბოლონია	6	1	1	4	2:7	4
19.ფროზინონე	6	0	1	5	0:16	1
20.კიევო	6	0	2	4	5:15	-1

შენიშვნა: კიევოს დაკლებული აქვს 3 ქულა

საფრანგეთი

29.09	ნიცა-პსჟ	9.0	5.5	1.3
29.09	რეიმსი-ბორდო	2.4	3.1	3.1
29.09	კაენი-ამიენი	2.1	3.2	3.7
29.09	სტრასბური-დიჟონი	1.91	3.6	3.9
29.09	ლიონი-ნანტი	1.32	5.25	9.0
29.09	ანჟე-გენგამი	2.15	3.2	3.5
30.09	რენი-ტულუზა	1.95	3.4	4.0
30.09	მონპელიე-ნიმი	1.91	3.5	4.0
30.09	ლილი-მარსელი	2.8	3.5	2.4

ნიცა-პსჟ

ნიცა: ***ტრავმ***-იგნატუს განაგო, მიშელ ლე ბიამი, დანილო

პსჟ: ***ტრავმ***-კილიან მბაპე, დანი ალვეში, ლავინ კურზავა

ხეიმსი-ბოხდო

რეიმსი: ***ტრავმ***-არავინ

ბორდო: ***ტრავმ***-მაქს პუნდიე

ჯაენი-ამიენი

კაენი:***ტრავმ***-ენცო კრიველი, ბისამა სანკო, ალექსანდერ ჯიკუ

ამიენი: ***ტრავმ***-ალექსის ბლინი, სტივენ მენდოზა, ბონგანი ზუნგუ

სტრასბური-დიჟონი

სტრასბური: ***ტრავმ***-ანტუან გონსალვეში, ლამინე კონე

დიჟონი: ***ტრავმ***-ფრედერიკ სამარიტანო

ლიონი-ნანტი

ლიონი: ***ტრავმ***-არავინ

ნანტი: ***ტრავმ***-არავინ

ანჟე-გენგამი

ანჟე: ***ტრავმ***-ფარიდ ელ მელალი, ანჯელო ფულინი, ვინსენ პაიო

გენგამი:***ტრავმ***-რონი როდელინი

რენი-ტულუზა

რენი: ***ტრავმ***-ჯეიკობ იოჰანსონი

ტულუზა: ***ტრავმ***-იაია სანოგო

მონპელიე-ნიმი

მონპელიე: ***ტრავმ***-კეგან დოლი, ფლორინ მოლე, ჯოვანი სიო

ნიმი: ***ტრავმ***-მუსტაფა დიალო, დენის ბოუანგა

ლილი-მარსელი

ლილი: ***ტრავმ***-რაფაელ ლეაო

მარსელი: ***ტრავმ***-ადილ რამი

საბურნირო ცხრილი:

1.პსჟ	7	7	0	0	24-6	21
2.ლიონი	7	4	1	2	13-6	13
3.მარსელი	7	4	1	2	19-13	13
4.ლილი	7	4	1	2	11-6	13
5.მონპელიე	7	3	3	1	8-6	12
6.სტ.ეტიენი	7	3	3	1	8-9	12
7.ტულუზა	7	3	2	2	8-10	11
8.ანჟე	7	3	1	3	9-9	10
9.დიჟონი	7	3	1	3	9-9	10
10.ბორდო	7	3	1	3	10-11	10
11.ნიცა	7	3	1	3	6-9	10
12.ნიმი	7	2	3	2	13-13	9
13.სტრასბური	7	2	2	3	11-11	8
14.რეიმსი	7	2	2	3	4-9	8
15.ამიენი	7	2	1	4	10-12	7
16.კაენი	7	1	4	2	9-11	7
17.რენი	7	2	1	4	9-12	7
18.მონაკო	7	1	3	3	8-9	6
19.ნანტი	7	1	2	4	7-12	5
20.გენგამი	7	0	1	6	4-17	1

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

მოჭადრაკე ქალთა ნაკრები ოლიმპიადაზე დამაჯერებლად თამაშობს

ბათუმის 43-ე საჭადრაკო ოლიმპიადის მე-4 ტურის შემდეგ საქართველოს ქალთა პირველ ნაკრებს 4 გამარჯვება აქვს და მედლებისთვის ბრძოლას დამაჯერებლად აგრძელებს. ჩვენმა გუნდმა ამჯერად ვიეტნამის ნაკრები დაამარცხა 3:1. ნაკრებს გამარჯვებები ნანა ძაგნიძემ და ნინო ბაციაშვილმა მოუტანეს, ორივემ შავი ფიგურებით. გამარჯვება ჯერ ბაციაშვილმა ჩაიწერა, რასაც მალევე ძაგნიძის წარმატებული სვლა და არაბიძის მეტოქესთან ყაიმზე შეთანხმება მოჰყვა, ეს კი გამარჯვებას ნიშნავდა. მეორე დაფაზე მოთამაშე ლელა ჯავახიშვილი დიდხანს ებრძოლა მეტოქეს და საბოლოოდ ყაიმი ითამაშა.

საკმაოდ მძიმე შეხვედრა ჰქონდა ქალთა მეორე ნაკრებს, რომელიც მე-13 განთესვის მქონე უნგრეთს შეხვდა და გამარჯვება მიითვალა – 2.5:1.5. თავისი პარტიები სოფიო გვეტაძემ და სოფიკო ხუბაშვილმა მოიგეს. მესამე გუნდმა 1:3 დათმო ავსტრალიასთან.

1:3 დამარცხდა ვაჟთა ნაკრები ლეიტუვას გუნდთან და მნიშვნელოვანი ქულებიც დაკარგა. მეორე დაფაზე მიხეილ მჭედლიშვილმა შავებით ყაიმი მალევე გააფორმა. ამის შემდეგ თავისი შეხვედრა დათმო დავით ჯოჯუამ, ივან ჩეპარინოვმა მესამე დაფაზე, დიდი მცდელობის მიუხედავად, მეტოქეს ვერ აჯობა, რაც იმას ნიშნავდა, რომ ჩვენი გუნდის მარცხისგან ხსნა მხოლოდ ბაადურ ჯობავას შეეძლო გამარჯვებით, თუმცა, სამწუხაროდ, დამარცხდა.

სასიხარულოა, რომ გამარჯვება მოიპოვა ვაჟთა მესამე გუნდმა, რომელმაც 3:1 მოუგო მაროკოს. შესაბამისად, მესამე და მეოთხე დაფაზე ნიკოლოზ კაჭარავამ და გიორგი სიბაშვილმა იმარჯვეს. მეორე ნაკრები 2:2-ზე შეთანხმდა ავსტრალიასთან.

ახლა ფავორიტებზეც: საფრანგეთის ნაკრები, რომელიც 3 ტურის შემდეგ დამატებითი მაჩვენებლით ლიდერობდა, მე-8 ადგილზე დამკვიდრებულ ვიეტნამის ნაკრებს პირველ დაფაზე გაეჯიბრა. ფრანგებმა მოიგეს, თუმცა არცთუ იოლად – 2,5:1,5. პირველ, მეორე და მესამე დაფებზე ყაიმი დაფიქსირდა და მხოლოდ მეოთხე დაფაზე გაიმარჯვა კრისტიან ბაუერმა.

ტურის და, ალბათ, ოლიმპიადის ერთ-ერთი გამორჩეული პაექრობა კი მესამე დაფაზე გაიმართა: წინა ოლიმპიადის ჩემპიონმა ამერიკის შე-

გაგრძელება მე-10 გვერდზე

თეთრ ვეშაპს გზა აერია და თავი ლონდონში ამოყო

მდინარე თემზაში, რომელიც ბრიტანეთის დედაქალაქ ლონდონში მიედინება, შენიშნეს თეთრი ვეშაპი, რომელიც არქტიკის წყლების ბინადარია.

ზღვის ცხოველი თემზის სამხრეთ ნაწილში შენიშნეს, მაგრამ მეორე დღეს ის უკვე ლონდონის გარეუბანში შეამჩნიეს. მისი შედარებით მცირე ზომებიდან გამომდინარე, ის ან მდედრი ვეშაპია, ან ახალგაზრდა მამრია.



გაურკვეველი რჩება, თუ როგორ აღმოჩნდა ვეშაპი მდინარეში. 2015 წლის შემდეგ ეს არსებები ბრიტანეთის სანაპიროებთან აღარ შეუნიშნავთ. მაშინ რამდენიმე თეთრი ვეშაპი ნორთუმბერლენდის საგრაფოს რაიონში, რომელიც ინგლისის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობს, ჩრდილოეთის ზღვაში შენიშნეს.

– ამ მოვლენის ყველაზე სარწმუნო სცენარს, სანამ ცხოველზე უფრო მეტს არ გავიგებთ, ის წარმოადგენს, რომ მის ნავიგაციის სისტემა მოიშალა, – განაცხადა ლიუსი ბეიბიმ, საქველმოქმედო ორგანიზაციის ბუნებისა და მეცნიერების საკითხების ხელმძღვანელმა. ეს ორგანიზაცია ვეშაპებისა და დელფინების დაცვითაა დაკავებული.

შიშველმა სექტანტებმა მეზობლები გაიტაცეს

სასამართლო საბუთებმა ნათელი მოჰფინა ადამიანების გატაცების საქმეს, რომელიც 2017 წელს კანადის ალბერტის პროვინციის ქალაქ ლედუკში მოხდა.

როგორც გაირკვა, ამ საქმის უკან იეღოვას მოწმეები იდგნენ, რომლებმაც გადაწყვიტეს, რომ სამყაროს აღსასრული დაიწყო. 2 ნოემბერს 35 წლის ქალი თავის ორ არასრულწლოვან გოგონასთან ერთად თავის 27 წლის ნათესავსა და მის 30 წლის მეუღლეს ესტუმრა. ისინი თვლიდნენ, რომ სამყაროს აღსასრული ახლოვდებოდა და კეთილისა და ბოროტის უკანასკნელ შებრძოლებამდე სულ ოთხი დღე იყო დარჩენილი.

სექტანტები სამი დღე იმალებოდნენ ნათესავის სახლში, გარეთ არ გამოდიოდნენ და თითქმის არაფერს ჭამდნენ. ერთი სააბაზანო ოთახში დაიმალა, სხვებმა საძინებელ ოთახს შეაფარეს თავი. ერთ-ერთი არასრულწლოვანი გოგონა სასამართლოში ყვებოდა, რომ ქუჩიდან ყვირილი და კაკუნი აღწევდა, ხოლო ზეციდან ფერფლი იყრებოდა.

სამყაროს „აღსასრულის“ წინა დღეს იეღოვას მოწმეებმა გადაწყვიტეს, მეზობლები გადაერჩინათ. მათ ჩაცმა დაიწყეს, მაგრამ შემდეგ გადაწყვიტეს, რომ ამის დრო არ იყო და ყველანაირ ტანსაცმელში შიშველები ჩასხდნენ.

გოგონების დედამ აქსელერატორს ფეხი დააჭირა, მანქანით ავტოფარეხის კარი გამტვრია და მეზობლების სახლთან გაჩერდა. სექტანტებმა სახლის ბინადარნი გარეთ გამოათრიეს, მანქანის საბარგულში სახლის პატრონი ჩატენეს და უბრძანეს, რომ სიტყვა „იეღოვა“ განუწყვეტლივ ემეორებინა, ხოლო მისი ქალიშვილი ექვსი თვის ბავშვით მანქანის უკანა სავარძელზე დასვეს.

მანქანა ქალაქის ქუჩებში ყოველგვარი წესების დარღვევით დაქროდა, წითელ შუქნიშანზეც კი არ ჩერდებოდა, ხოლო როდესაც მანქანამ სვლა შეანელა, მეზობელმა საბარგულის გახსნა და იქიდან თავის დაღწევა მოახერხა. მის კვალდაკვალ მანქანიდან თავი მისმა ქალიშვილმა ბავშვთან ერთად დააღწია. ისინი გზად მიმავალმა პიკაპის მძღოლმა აიყვანა, მაგრამ იეღოვას მოწმეები მათ გაეკიდნენ, თავიანთი მანქანა პიკაპს დააჯახეს, რის შედეგადაც ყველგანმავალი გზიდან გადავიდა და გადაყირავდა. სწორედ იქ იპოვეს ისინი პოლიციელებმა. ხუთივენი მანქანაში ისხდნენ და იმეორებდნენ – „იეღოვა“. ერთ-ერთი გოგონას თქმით, ისინი თვლიდნენ, რომ პოლიციელები მათ მოსაკლავად მისული ურჩხულები იყვნენ.

მათი მანქანიდან გადმოსაყვანად პოლიციელებს ელექტროშოკის გამოყენება დასჭირდათ. სასამართლოზე სამივე მოზრდილმა ადამიანებისთვის თავისუფლების შეზღუდვის დანაშაული აღიარა. საჭესთან მჯდომმა ქალმა მანქანის სახიფათოდ მართვის ბრალდებაც აღიარა. ბრალდება არ წაუყენებიათ არასრულწლოვანი გოგონებისთვის. სავარაუდოდ, მათი განაჩენი 20 დეკემბერს გამოცხადდება.

ჩინელმა საქორწინო კაბა ცემენტის ტომრებისგან შეიკერა

ჩინეთის პროვინცია განსუს ქალაქ ლუნანის გარეუბანში მცხოვრებმა ქალმა სოციალურ ქსელებში სახელი იმის წყალობით გაითქვა, რომ ცემენტის 40 ტომრისგან საქორწინო კაბა შეიკერა.

წვიმის გამო 28 წლის ტან ლილი მინდორში სამუშაოდ ვერ წავიდა და სახლში დარჩა. მას მოსწყინდა უსაქმოდ ყოფნა და გადაწყვიტა, ცარიელი ტომრებისგან, რომელიც შესაკეთებელი სამუშაოების შემდეგ დარჩა, სამოსი შეექმნა.

მან ადრე უკვე ცადა, ტანსაცმელი შეექმნა ქაღალდის, ბალახის, ყვავილებისა და სხვა უჩვეულო საგნებისგან. ამ გამოცდილების წყალობით მუშაობა არ გასძნელებია და სამი საათის შემდეგ ყველაფერი მზად იყო. კაბის გარდა, ქალმა ტომრებისგან გრძელი შლეიფი და ქუდიც შეიკერა.

ტან ლილის ფოტოსურათმა და ვიდეომ, რომლებზეც ის ტომრებისგან შეკერილ ტანსაცმელში გამოწყობილია ასახული, ჩინურ სოციალურ ქსელებში დიდი პოპულარობა მოიპოვა. აღსანიშნავია, რომ მას საშუალო სკოლა არ დაუმთავრებია და 18 წლის ასაკიდან ოჯახურ ფერმაში მუშაობს. ის 2012 წელს გათხოვდა და შვილი ჰყავს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ასტროპროგნოზი

29 სექტემბრისათვის

ვერძი – საქმე ისეთი ტემპით არ მიდის, როგორც გსურთ. თუმცა მოვლენების დაჩქარება არ ღირს. ** კურო** – პირადი ცხოვრებისა და სამსახურებრივი საქმეების შეთავსება ოდნავ გიჭირთ, მაგრამ, საბოლოო ჯამში, შედეგით კმაყოფილი დარჩებით. **ტყუპები** – შექმნილ რთულ სიტუაციაში მალევე გაერკვევით. მთავარია, სწორი დასკვნები გააკეთოთ. **კირჩხიბი** – ბიზნესის სფეროს წარმომადგენლებს სერიოზული სირთულეების გადალახვა მოგიწევთ. მთავარია, ემოციებს არ აჰყვეთ და ნაჩქარევი გადაწყვეტილება არ მიიღოთ. **ლომი** – თუ მხოლოდ კარიერაზე იფიქრებთ, ცხოვრების ხალისს დაკარგავთ. გათავისუფლდით ნეგატიური აზრებისაგან. **ქალწული** – შექმნილი ვითარება გაიძულებთ, საკმაოდ არასასიამოვნო ადამიანებთან იქონიოთ კონტაქტი. გამოიჩინეთ მეტი დიპლომატიურობა. **სასწორი** – სამომავლო გეგმებზე ფიქრში დროს ნუ დაკარგავთ. მიჰყევით თვითდინებას. **ღრიანკალი** – ლიდერის თვისებები დაგეხმარებათ, ბევრი ისეთი პრობლემა მოაგვაროთ, რომლებიც კარიერულ წინსვლაში ხელს გიშლით. საკუთარ პრინციპებს უერთგულეთ. **მშვილდოსანი** – ენერგიულად და ენთუზიაზმით სავსე ხართ. მეტი ხელმომჭირნეობა გმართებთ. **თხის რქა** – ნუ იქნებით სწორხაზოვანი. შექმნილი სიტუაცია გულმოდგინედ გააანალიზეთ და ისე იმოქმედეთ. **მერწყული** – ახლო მეგობრის რჩევა დაგეხმარებათ სწორი დასკვნების გაკეთებაში. ინტუიციას ნუ დაეყრდნობით. **თევზები** – საკუთარი თავის რწმენა გიბრუნდებათ, თუმცა მეტისმეტი სითამამე, სავარაუდოდ, საქმეს გაგიფუჭებთ.

30 სექტემბრისათვის

ვერძი – ნებისმიერი აგრესია გამორიცხეთ. გარშემომყოფებს საშუალება მიეცით, თავიანთი საუკეთესო თვისებები წარმოაჩინონ. **კურო** – საოჯახო საქმეების მოსაწესრიგებლად სხვა დღე შეარჩიეთ. მეტი დრო გაატარეთ ოჯახის წევრებთან და მეგობრებთან. **ტყუპები** – დაიცავით ზნეობა, ნუ იქნებით ზედმეტად მომთხოვნი. საკუთარი შეცდომები გააანალიზეთ და გამოასწორეთ. **კირჩხიბი** – მატერიალური მდგომარეობით უკმაყოფილო ხართ. დროა, შემოსავლის ახალი წყარო მოძებნოთ. **ლომი** – ყურადღების კონცენტრაცია დაგეხმარებათ, დაკისრებულ მოვალეობას თავი სათანადოდ გაართვათ. ერიდეთ აქტიურობას. **ქალწული** – შემთხვევით ნაცნობობას ერიდეთ. საღამო ჰარმონიული იქნება. **სასწორი** – კეთილისმყოფელი დღეა. სამოგზაუროდ წასვლა, მივლინებები იღბლიანი იქნება. ახალი შთაბეჭდილებები ენერგიას შეგმატებთ. **ღრიანკალი** – დღის პირველ ნახევარში მრავალი საზრუნავი გაქვთ. ნებისმიერი კაპიტალდაბანდება სარისკოა. **მშვილდოსანი** – ბევრი საქმე დაგიგროვდათ. ერიდეთ კონფლიქტურ სიტუაციებს და თავმდაბლად იმუშავეთ. პროვოკაციებს არ წამოეგოთ. **თხის რქა** – შემოქმედებითად აქტიური დღეა. ერიდეთ შემთხვევით გაცნობილ ადამიანებთან ურთიერთობას. **მერწყული** – თვითრეალიზაციისათვის ძალზე შესაფერისი პერიოდია. მიიღეთ მეტი ცოდნა, გაიფართოვეთ თვალსაწიერი. **თევზები** – რეალობას თვალი გაუსწორეთ. საქმე ხარისხიანად და სწრაფად აკეთეთ. საღამოს უთუოდ დაისვენეთ მყუდრო გარემოში.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

მოჭადრაკე ქალთა ნაკრები ოლიმპიადაზე დამაჯერებლად თამაშობს

დასაწყისი მე-9 გვერდზე

ერთებული შტატების ნაკრებმა მე-3 ადგილზე დამკვიდრებულ ინდოეთს 2,5:1,5 სძლია. ამერიკელებს გამარჯვება ფაბიანო კარუანამ მოუტანა, რომელმაც მსოფლიოს ექსჩემპიონს, სწრაფ ჭადრაკში მსოფლიოს მოქმედ ჩემპიონს, ბათუმი 2018-ის კეთილი ნების ელჩს ვიშვანათან ანანდს პირველ დაფაზე სძლია. დანარჩენი სამი პარტია ყაიმით დასრულდა.

მეოთხე სათამაშო დღის მთავარ მოულოდნელობად ოლიმპიადაზე მეორე ნომრად განთესილი რუსეთის ოთხეულის პოლონეთთან მარცხი უნდა მივიჩნიოთ – 1,5:2,5. თავდაპირველად რუსეთი დაწინაურდა, თუმცა, მესამე და მეოთხე დაფებზე შედარებით გვიან დასრულებული ორივე პარტია პოლონელთა გამარჯვებით დასრულდა: იაცეკ ტომჩაკმა ვლადიმირ კრამნიკს სძლია, შავი ფიგურებით მოთამაშე კამილ დრაგუნმა კი დმიტრი იაკოვენკო დააშამათა.

ის, რომ პოლონეთის ნაკრებმა ოთხივე ტურში გაიმარჯვა და სადღეისოდ ლიდერთა შორისაა, დიდწილად სწორედ იაცეკ ტომჩაკისა და კამილ დრაგუნის დამსახურებაა – ორივემ ყველა პარტია მოიგო: ტომჩაკმა სამიდან სამი, დრაგუნმა ოთხიდან ოთხი!

ქალთა შორის კვლავ მშვენივრად ასპარეზობს რეიტინგის მესამე ნომერი ჩინეთი. ვენჟუნ ჟუს, იან შენის, კიან უანის და ტინჟიე ლეის ოთხეულმა პირველ დაფაზე უზბეკეთს სძლია – 3:1. ჩინელებმა პირველ და მეორე დაფებზე გაიმარჯვეს, დანარჩენი პარტიები ყაიმით დასრულდა.

კვლავ მოიგეს სომხებმა, თუმცა იტალიასთან გაუჭირდათ – 2,5:1,5. პირველ დაფაზე შავი ფიგურებით მოთამაშე ელინა დანიელიანმა ოლგა ზიმინას სძლია, ლილიტ მკრტჩიანმა ელენა სედინა დაამარცხა, მესამე დაფაზე ანა სარქისიანს დეზირე დი ბენედეტოსთან მოეცარა ხელი, მეოთხე დაფაზე კი მარია კურსოვამ მარინა ბრუნელოსთან გაიყო ქულა.

მეოთხე მატჩი მოიგო მონღოლეთმაც, ამჯერად ირანთან – 3:1. მიუხედავად იმისა, რომ პირველ დაფაზე ბახტიაგ მუნგუნტუულმა ქულა გაუყო სარასადატ ხადემალშარიეს, მომდევნო დაფებზე კარგად დაწყებული საქმე მონღოლებმა გამარჯვებით დაასრულეს: დავაადემბერელ ნომინ-ერდენემ მიტრა ჰეიაზიპურს, ტურმუნხ მუნხზულმა მობინა ალინასაბს, ხოლო ტუვშინტუგს ბატჩიმეგმა მოტაჰარე ასადის სძლია.

შეუდარებლად ითამაშა უკრაინელ გოგონათა ოთხეულმა, რომელმაც სლოვენიას 4:0 მოუგო. შეგახსენებთ, რომ ეს ნაკრები დების, ანა და მარია მუზიჩუკების, ასევე ანა უშენინასა და ლილია ოსმაკის შემადგენლობით ქალთა მსოფლიო რეიტინგის მეორე ნომერია.

რუსეთის ნაკრებმა, რომელმაც მეორე ტურში უზბეკეთთან მოულოდნელი წაგებით მკვეთრად გაიუარესა მდგომარეობა, ზედიზედ მეორედ მოიგო, ამჯერად ისრაელთან – 3:1.

მიხეილ ჟორჟოლიანი

ჯოსვოიდი ბ



შვეულად: 1. პოლონელი კომპოზიტორი, პიანისტი; 2. დოსტოევსკის რომანი; 3. ირლანდიაში გამოყვანილი სამომსახურეო ჯიშის ძაღლი; 4. ამერიკული კოსმეტიკური ფირმა; 5. ქართველი კინორეჟისორი ქალი; 7. იაპონური თოჯინების თეატრი; 11. გემების ღუზით გასაჩერებელი ადგილი ნავსადგურის მახლობლად; 12. არწივის ბარტყი; 13. ბრილიანტის თითოეული გვერდი; 14. რაიმეს განხილვა მისი შეფასების მიზნით; 15. ძრავიანი ველოსიპედი; 17. დაბალი ძლიერი დარტყმა ჩოგბურთში; 19. ოპერა „აბესალომ და ეთერის“ პერსონაჟი.

თარაზულად: 5. ლეონარდო და ვინჩის შედევრი; 6. სახელმწიფო ევროპაში; 8. სასვენი ნიშანი გრამატიკაში; 9. ლუთერანული ეკლესია; 10. ძველი ხელნაწერებისა და საბუთების საცავი; 11. ტბა გაგრის მახლობლად; 13. ქართველი ესტრადის მომღერალი ქალი; 14. ინგლისის ნაკრებისა და „ტოტენჰემის“ ფეხბურთელი; 16. წინაპართა დამკვიდრებული წესჩვეულება, რომელიც თაობიდან თაობას გადაეცემა; 18. სამეჯლისო ცეკვა; 20. ვიწრო, ღრმა ხეობა; 21. საქართველოს რაგბისტთა გუნდი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. შპრეე; 2. ურავი; 3. კონიაკი; 4. მაცა; 5. კალო; 6. მიტარბი; 9. სკანდინავია; 10. პროზელიტი; 11. სამტრედია; 14. ფობია; 16. კლიპი; 18. ფრეგატი; 20. გორგაძე; 23. ჭონი; 24. ალილო; 25. თრუსო; 26. სუვა.

თარაზულად: 7. ცოლიკაური; 8. პარანომია; 12. საარი; 13. ნაურუ; 15. დუნაი; 17. ბოგდიხანი; 19. ომალო; 21. პერტი; 22. შიფრი; 27. სტიპენდია; 28. მურვანიძე.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. მიოპია; 2. მესიჯი; 3. თაკვერი; 4. დიუპონი; 5. ჰოოპუნა; 7. არკადია; 11. არიკი; 12. ფაუსტი; 13. ველვეტი; 14. კონკური; 15. ფიზიკა; 17. თოფუზი; 19. კაფი.

თარაზულად: 5. ჰაჯიბეი; 6. გუდაური; 8. ჯაკო; 9. სენტო; 10. ურნალი; 11. ალბა; 13. ვალენსია; 14. კრინი; 16. ათოსი; 18. ხავსი; 20. როკფორი; 21. კაიზერი.

ანზორ ერქომაიშვილი იტალიაში მასტერკლასს გამართავს

საქართველოს სახალხო არტისტი, ანსამბლ „რუსთავის“ დამაარსებელი და სამხატვრო ხელმძღვანელი ანზორ ერქომაიშვილი იტალიაში მასტერკლასს ჩაატარებს.

ლა საპიენცას უნივერსიტეტში ქართველი ლოტბარის მასტერკლასი საერთაშორისო კონფერენციის „გლობალიზაცია და იდენტობა“ ფარგლებში გაიმართება.

გიორგი გილიგაშვილს ახალი კლიპი აქვს

მომღერალსა და მსახიობს გიორგი გილიგაშვილს, რომელიც „ცეკვავენ ვარსკვლავების“ მერვე სეზონში მონაწილეობს, ახლი კლიპი აქვს.

„სამშობლო“ – ასე ჰქვია სიმღერას, რომელზეც ვიდეორგოლი რეჟისორმა ნიკოლოზ ხომასურიძემ გადაიღო. გადაღებები საქართველოში სხვადასხვა ადგილებში მიმდინარეობდა – ქვათა ველი, აბულის ციხე, დიდგორის ველი, არმაზის ციხე, ჯუთა.

კლიპი ინტერნეტში უკვე გავრცელდა. პატრიოტული სულისკვეთებით შექმნილ ვიდეოს უამრავი გამოხმაურება მოჰყვა. მსმენელმა ხელოვანის ნამუშევარი მოიწონა და ბევრი დადებითი კომენტარითაც დაასაჩუქრა.

სამგლოვიარო განცხადებები

პაატა გოროდინსკის უიმედო მოგონება და დაბადების დღის მილოცვა

აი, ასე გავიდა ოცი წელი და შენ გახდი 54 წლის, მაგრამ დედისთვის ისევ 34 წლის ხარ, უენო და თავშეკავებული; 1999 წელმა შეძლო შენი განშორება ოჯახთან და დატოვე გაუბედურებული მშობლები. შიშში ვიყავი და შიში გამართლდა. არ ვიცი, რისი მეშინოდა, შენგან წაშლილი დედა არასდროს ვყოფილვარ.

შვილო, რა ბედნიერი ვარ, რომ ასეთი შვილი მყავხარ, მაგრამ უბედური, რომ მუხათგვერდში აირჩიე ცხოვრება.

შვილო, შენი სიყვარული ყველაფერს და ყველას არ შველის. არ მიგებენ, სიკეთისთვის ძირს მითხრიან. გაბოროტება ვერასდროს დააბრუნებს საწყისს ადამიანობაში. სისულელეებს ჩადიან, თითოეული მოქმედება და სიტყვა მეორისთვის მტრობისა და სიკვდილის ტოლფასია... არ გაცლიან...

პაატა, მეგონა, რომ დამეხმარებოდით და ასეც მოხდა. დედა გამომეცხადა, სლავას უჭირს, უნდა წავიდეო. ვიცი, სლავა საფლავში გადაბრუნდებოდა...

მეგონა, შენ გარდა მე ვერაფერი მომერეოდა. ასე არ გამოდგა, სხვასაც შესძლებია ჩემთან გაუმჟღავნებლად ბოღმის გზადაგზა სასიკვდილო რეცეპტის მოწოდება. „არ იციან, რომ გულის დაბოღმვა სულის ავადობაა“.

მეგონა, იქ დამთავრდა ტკივილი, სიცოცხლე, როცა შენი სული შეუერთდა მაღლა ღმერთს, მაგრამ ასე არ გამოდგა. ისევ მტკივა თუ მტკენენ ნორმისა და საზღვრის იქით. არ მეგონა, ასეთი მეხის გაგზავნა თუ შეიძლებოდა, მაგრამ, როგორც იტყვიან, „... წიხლი საწყენი არ არის“.

რა ვქნა, ტვინი გამეყინა ერთ წერტილში, ვარ გაჩერებული. მას ვერ „ვშორდები“. არადა, როგორ მინდოდა შენთან კარგ თემაზე ლაპარაკი. უბედური დამტოვეთ და ახლა საცოდავიც გავხდი.

პაატა, შვილო, ისე შეეთვისა შენს მდგომარეობას დედაშენი, რომ 20 წელია ვერ გაუგია, სად ხარ შენ, სიხარულით მოდის მუხათგვერდის სამოსახლოზე.

შენმა არყოფნამ ცხოვრების წესი შემიცვალა და შემაყვარა ის, რითიც შენ ცხოვრობ. ვხვდები, რომ საკუთარი თავი ჩემი აღარ არის. მხოლოდ ის ვიცი, დედაშვილობა რა არის. შენგან დატოვებულმა ფიქრმა და მოგონებამ ნელ-ნელა შემაგუა ტკივილიან და უშენობით ცხოვრებას.

რა ვქნა, ბიჭებო, ნუთუ ისე კარგად ხართ, რომ არ მელანდებით. ამ თვეში ორივეს დაბადების დღეა. მიშიკო, შენ აღბათ გული გწყდება, პაატასავით ვერ გცემ პატივს. პაატამდე შენთვისაც არაფერი დამიკლია.

პაატა, მეგონა, რომ ამ გაჭირვებაში შენ დამეხმარებოდი და არა დედაჩემი. ვიცი, გეწყინა და მეტი რომ არ მოგსვლოდა, დედა გამომიგზავნე, რომელმაც გამაფრთხილა და გაქრა. გაფრთხილება აღსრულდა 2 დღეში.

ძალიან მიყვარხარ, მეცოდები, მინდა გელაპარაკო, მაგრამ არაფრის თავი მაქვს. უშენობით უპატრონობა ძნელია.

უნდა დაგემშვიდობოთ, ვერაფერს შეგპირდებით, სანთლის გარდა საჩუქარს.

შენი საცოდავი დედა ღუღუნი

სს თბილაბრეშუმის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან ქალბატონი

ნანა პეტრიაშვილი-ლომაიას

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ ოთარ და დავით ლომაიებს მეუღლისა და დედის გარდაცვალების გამო.

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

თაკო ჩარკვიანი მთავრობას აკრიტიკებს

პუბლიცისტი თაკო ჩარკვიანი მთავრობას აკრიტიკებს და მათ მიერ მსოფლიოში ცნობილი ბანის პაატა ბურჭულაძის დევნაზე საუბრობს:

– ხელისუფლებავ, „ბრავო“, როგორც იტყვიან, სულ „წახვედით ხელიდან“.

მთელს მსოფლიოში ცნობილ ბანს, პაატა ბურჭულაძეს დასდევთ და მთელი მსოფლიოს მასშტაბით რეკავთ და თეატრებს ამცნობთ, რომ ამ მსოფლიოში ცნობილ ქართველ მომღერალზე სისხლის სამართლის საქმეა აღძრული?

ამ საქველმოქმედო ფონდში ბურჭულაძის ნაღვაწი, პიროვნული კაპიტალია ჩადებული, მისი უნიკალური ხმით და შრომით მოპოვებული, სახელით და გვარით ჩამოჰყავდა, უფასოდ, სახელგანთქმული მომღერლები, რომელთა ჰონორარი 100 ათასებს შეადგენდა, რამდენი ოჯახი გაბედნიერდა ჩვენს თვალწინ...

ახლა მინდა ვიკითხო? ჩვენ სად გიჩივლოთ? ვის ვამცნოთ, რომელ სასამართლოში მოგთხოვოთ ხელისუფლებას ხალხის ბიუჯეტიდან წაღებული და მოპარული მილიარდები. კერძოდ, 700 მილიონი და მილიარდნახევარი, ეს რაც თავად, თქვენ გაახმოვანეთ. ჰოდა, ამაზე პასუხს, არჩევნებში მოგთხოვთ და აგიხსნით ხალხი და ვადამდელი არჩევნებით აღმოჩნდებით, ხალხის, ახლა უკვე „სიგარეტის“ ბიზნესიდან ჯიბეში გადაქაჩული, გაძარცვული მილიონებით პოლიტიკურ სანაგვეზე!

ახლა, რომ გითხრათ წადით და „დონ კარლოსს“ ფილიპის არიას მოუსმინეთ, იმ ცნობილ არიას მეთქი, აბა, რა აზრი ექნება?! რას გაიგებთ ნარკო-წარმოების ხმაურში!

თამაზ ჭეიშვილმა საკუთარი ბინა უცხოელებს არ მიჰყიდა

მწერალმა თამაზ ჭეიშვილმა ამ ზაფხულს ფინანსური პრობლემების გამო საკუთარი ბინის გაყიდვა გადაწყვიტა, თუმცა კატეგორიული უარი განაცხადა ბინა უცხოელებისთვის მიეყიდა:

– ამ ზაფხულს ძალიან დამჭირდა ფული! მეტი რომ არ შეიძლება ისე! ყველგან გამოვაქვეყნე განცხადებები. ჩემდა გასაკვირად და გასახარად, მყიდველი გამოჩნდა განცხადების გამოქვეყნებიდან ერთი საათის შემდეგ. კაცმა დამირეკა, ქართულად დამელაპარაკა. მოვალთ, ბინას ვნახავთო. მოვიდნენ და გულზე შემომეყარა!

მე არ ვარ შოვინისტი და არ ვანსხვავებ ადამიანებს კანის ფერის და ეროვნების მიხედვით, მაგრამ ბინა, სადაც უბედნიერესი წლები გავატარეთ მე და ლენამ, სადაც გაიზარდა ჩემი სამი შვილი და ოთხი შვილიშვილი, არ მივყიდე სპარსელს, თურქს, არაბს, რომლებიც იმაზე მეტს მთავაზობდნენ, რაც ის ბინა ღირდა!

ქართველმა იყიდა! იქ, ჩემი თანამემამულეები იცხოვრებენ და არა ისინი, ვინც ერთ დროს დავითმა თბილისიდან გარეკა!

ახლა გინდა შოვინისტი დამიძახეთ და გინდ ,,პოსტიმპრესიონისტი“! ასეთია ,,ჩქიმი უბეჟდენიე!“

გელათის მონასტრიდან კუთხოვან ქვებს ყრიან

ბოლო პერიოდში გელათის მონასტერი არაერთხელ მოექცა საზოგადოების ყურადღების ცენტრში.

მიქაელ ბრეგვაძემ გელათის მონასტერში გადაღებული ვიდეო სოციალურ ქსელში გაავრცელა. ვიდეოში ჩანს, რომ სპეციალური ტექნიკა ტერიტორიებს თხრის და კამაზებით ტერიტორიიდან გააქვს.

მიქაელ ბრეგვაძე:

– გელათის მონასტერი. მწუხრის ლოცვისას მიმდინარე სამუშაოები. სადღესასწაულო „უქმე ძალი“-ს პატივისცემა და რწმენაზე ზედმეტია ლაპარაკი.

ეს რომ სასულიერო პირს გაეკეთებინა, წყალს გაატანდნენ...

უამრავი კუთხოვანი ქვა ვნახე, რომელიც კამაზებით გაიტანეს და გადაყარეს.

საინტერესოა, რა პასუხი აქვს ამ ქმედებაზე კულტურის სამინისტროს?

დადიანების სასახლეში კამერული მუსიკის ფესტივალი იწყება

მარტვილში, სალხინოს დადიანის სასახლეში კამერული მუსიკის საერთაშორისო ფესტივალი „სალხინოს სასახლის კამერატა“ მეოთხედ ჩატარდება.

ფესტივალი ტრადიციულად სამდღიანია და ის მუსიკოსებს ავსტრიიდან, ლიეტუვიდან და საქართველოდან უმასპინძლებს. საფესტივალო საღამოების ლოკაციებია დადიანისეული ისტორიული მარნის ღვინის დარბაზი და ორსაუკუნოვანი ჭადრების ხეივნის ღია სივრცე.

ფესტივალში მონაწილეობას მიიღებენ ვალერიან შიუკაშვილი, თამარ ლიჩელი, აფხაზეთის სახელმწიფო საგუნდო კაპელა და მაესტრო ზვიად ბოლქვაძე, ავსტრიული საფორტეპიანო ტრიო და კლასიკურ აკორდეონზე შემსრულებელთა ტრიო ლიეტუვიდან.

ფესტივალის ორგანიზატორები არიან შიო აბრახამია, ინიციატორი და სამხატვრო ხელმძღვანელი და ბადრი ბაგრატიონ-გრუზინსკი, ფესტივალის დირექტორი.

ფესტივალს საფორტეპიანო მუსიკის საღამო გახსნის. მსმენელისთვის მსოფლიოში აღიარებული ქართველი პიანისტები თამარ ლიჩელი და ვალერიან შიუკაშვილი დაუკრავენ.

უმშვენიერესი თამარ ლიჩელი – ქართული მუსიკის დიდი პროპაგანდისტი და ხშირ შემთხვევაში ახალი ქართული კომპოზიციების პირველი შემსრულებელია.

„მთელი მსოფლიოს კოლეგებს ვუსურვებ, ერთხელ მაინც მიეცეთ შესაძლებლობა მოუსმინონ თამარ ლიჩელს,“ – ასე აფასებს თამარ ლიჩელს გერგებ კესელიაკი-ბუდაპეშტის მუსიკალური აკადემიის რექტორი.

საერთაშორისო რანგის გამოჩენილი ქართველი პიანისტი – ვალერიან შიუკაშვილი არაერთი რეგიონული და საერთაშორისო ფესტივალის დამაარსებელია.

საკონცერტო პროგრამაშია მოცარტის, შოპენის, შუბერტის, რახმანინოვის, ჩაიკოვსკის, ლისტის, რაველის, ბაბაჯანიანის, დავითაშვილისა და ხორავას საფორტეპიანო ნაწარმოებები.

საქართველოს ფოსტამ დავით კაკაბაძის მარკა დაბეჭდა

საქართველოს ფოსტამ ახალი პროექტი წამოიწყო.

„საფოსტო მარკების სერია“ – ასე ეწოდება პროექტს, რომლის ფარგლებშიც სხვადასხვა სფეროში მოღვაწე ცნობილი ქართველების მარკები იბეჭდება.

სერიის ფარგლებში ცნობილი ქართველი მხატვრის დავით კაკაბაძის საფოსტო მარკა გამოიცა. მარკაზე დიზაინერმა გოგა ქართველიშვილმა იმუშავა.

დავით კაკაბაძის მარკა 100.000 ცალის ტირაჟით გამოიცა და 3 ლარი ღირს.



მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

29 სექტემბრისთვის

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.6199	ევრო — 3.0794
ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.4454	100 რუსული რუბლი — 3.9796

ამინდის პროგნოზი 29 სექტემბრისთვის

სამუელ უმტიტიმ მუხლის ტრავმა მიიღო

პარასკევს ბარსელონას ვარჯიშზე სამუელ უმტიტიმ მუხლის საკმაოდ სერიოზული ტრავმა მიიღო და შესაძლოა მან 2 თვე, ან უფრო მეტიც კი გამოტოვოს.

ბარსელონაში ადასტურებენ, რომ ტრავმა სერიოზულია, მაგრამ ჯერჯერობით უცნობია თუ რამდენ ხანს იუქმებს უმტიტი.

უმტიტის ტრავმა ბარსელონასთვის სერიოზული პრობლემაა, რადგან სამუელი ბარსელონას ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელია. უმტიტის, სავარაუდოდ, მისი თანამემამულე კლემან ლენგლე შეცვლის, რომელიც ბარსელონამ ზაფხულში სევილიადან იყიდა.

დიეგო კოშტა: „გვსურს, რომ რეალი დავამარცხოთ“

მადრიდის ატლეტიკოს ფორვარდმა დიეგო კოშტამ რეალთან შეხვედრის თაობაზე ისაუბრა და თქვა, რომ რეალი ატლეტიკოსთვის განსაკუთრებული მეტოქეა და ისინი ყველაფერს გააკეთებენ მის დასამარცხებლად:

– რეალი კვლავინდებურად ძლიერია, მაგრამ ჩვენ ვიცით, როგორ უნდა ვიმოქმედოთ მათ წინააღმდეგ. ატლეტიკოს ყველა ფეხბურთელს სურს რეალის დამარცხება. ბოლო შეხვედრები კარგად ჩავატარეთ და რეალთან სათამაშოდ მზად ვართ.

რეალისთვის ეს ძალიან მნიშვნელოვანი შეხვედრა იქნება, რადგან ბოლო თამაში მან სევილიასთან 0:3 წააგო.

მოურინიო პოგბასთან კონფლიქტს აღარ უარყოფს

ჟოზე მოურინიო აღარ უარყოფს, რომ პოლ პოგბასთან თბილი ურთიერთობა არა აქვს. მოურინიომ პოგბას ვიცე-კაპიტნობა ჩამოართვა და ამაზე კომენტარიც გააკეთა.

მოურინიოს თქმით, პოგბა მხოლოდ რიგითი ფეხბურთელია და განსაკუთრებულ მოპყრობას არ იმსახურებს.

– არ ვაპირებ, ყველას ავუხსნა, თუ რატომ ჩამოვართვი პოგბას ვიცე-კაპიტნობა, რადგან მე მწვრთნელი ვარ და გადაწყვეტილებებს მე ვიღებ. პოგბა მხოლოდ ფეხბურთელია და მან თავი გუნდზე მაღლა არ უნდა დააყენოს, – განაცხადა მოურინიომ.

მაურისიო პოჩეტინომ დელე ალი შეაქო

ტოტენჰემის მთავარმა მწვრთნელმა მაურისიო პოჩეტინომ დელე ალიზე ისაუბრა და თქვა, რომ ეს ფეხბურთელი წელს კიდევ უფრო უკეთესი იქნება, რადგან ის მენტალურად გაიზარდა და მზად არის ახალი გამოწვევებისთვის:

– დელე ალი ადრეც გამორჩეული ფეხბურთელი იყო ტოტენჰემში, მაგრამ წელს მან მოუმატა და ვფიქრობ, რომ მომავალში მისგან არაერთ კარგ შეხვედრას და ლამაზ გატანილ გოლს ვიხილავთ.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

იუმორი

გაცეცხლებული დირექტორი ხელქვეითს უყვირის:

– ნამდვილი სახედარი ხარ!

შემდეგ მდივანს მიუბრუნდება და ეუბნება:

– მიდი და ერთი ბღუჯა თივა შემომიტანე.

ხელქვეითი კი მდივანს მიაძახებს:

– მე კი ფინჯანი ყავა, თუ შეიძლება.

•••

სოფელი. ცოლი წინდას ქსოვს, ქმარი კი ჟურნალს კითხულობს. უცბად ცოლს ეუბნება:

– ყველა ცოცხალ არსებას შორის მხოლოდ ადამიანს, ქალს შეუძლია, განიცადოს ორგაზმი!

– რა, თავად შეამოწმე? – დამცინავი ღიმილით ეკითხება ცოლი.

კაცმა კეფა მოიქექა, შემდეგ ადგა, ჩექმები ჩაიცვა და გარეთ გავიდა. გარკვეული დროის შემდეგ დაბრუნდა და ცოლს ეუბნება:

– ძროხა და ვირი ნამდვილად არ განიცდიან ორგაზმს, მაგრამ, აი, ღორი ისე ღრუტუნებდა, რომ უკვე ეჭვი მეპარება!

•••

მამაკაცმა გადაწყვიტა, ცოლის მოყვანის წინ მეგობრებთან ერთად ფეხბურთი ეთამაშა. თამაშის დროს ფეხი პირდაპირ ინტიმურ ადგილში მოხვდა. მეგობრებმა მაშინვე ექიმთან გააქანეს. ექიმმა პროცედურები ჩაუტარა, ბოლოს კი საგულდაგულოდ შეუხვია და სახლში გაუშვა.

მეორე დღეს ქორწილი გაიმართა. პირველი ღამეა. სიძე საწოლზე ზის. ამ დროს სააბაზანოდან მეუღლე შემოდის და ეუბნება:

– ძვირფასო, შენ ახლა მიიღებ იმას, რასაც ჯერ არავინ მიჰკარებია!

კაცმა ამოიოხრა და უპასუხა:

– ჩემი კი ჯერ ისევ შეფუთულია...

•••

ერთი ნარკომანი მეორეს ეუბნება:

– მოწევას თავი დავანებე.

– მერე?

– კატაც კი აღარ მელაპარაკება.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

BOAI

ჩინური მედიცინის ცენტრი და აფთიაქი

– გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, კუჭ-ნაწლავის ტრაქტი, ღვიძლი, სასუნთქი სისტემა
– ნერვული სისტემა, ხერხემალი, სახსრები
– კანის დაავადებები
– უროლოგია
– გინეკოლოგია

საუკეთესო ეფექტი მოკლე პერიოდში

მისამართი: ქ.თბილისი, დ.ყიფიანის ქ. №2
ტელეფონი: 2 47 91 12
10.00-19.00 სთ. შაბათ-კვირის ჩათვლით.

TRADE MARK
安神補心丸
ANSHEN BUXIN WAN
300PILLS

ანშენი ბუსინ ვან

უძილობა, არითმია, თავბრუსხვევა, ყურში შუილი, ნერვული გადაღლილობა

TRADE MARK
XIAO HUO LUO DAN
香港中成藥注冊編號: HKP-01423
200 PILLS

სიაო ჰუო ლუო დან

რევმატიზმი, სახსრების ტკივილი, მთლიანი სხეულის გამაჯანსაღებელი

არც ერთი წამალი არ შეიცავს ქიმიურ დანამატს

მისამართი: ქ.თბილისი, დ.ყიფიანის ქ. №2
ტელეფონი: 2 47 91 12. 10.00-19.00 სთ. შაბათ-კვირის ჩათვლით.

გულის ხუთსაათიანმა მასაჟმა ბავშვს სიცოცხლე შეუნარჩუნა

ჩინელი ექიმები და მედდები ხუთი საათის განმავლობაში შეუჩერებლად უკეთებდნენ ბავშვს, რომელსაც გული გაუჩერდა, გულისა და ფილტვების სარეანიმაციო პროცედურებს და საბოლოოდ მისი გადარჩენა შეძლეს.

ინციდენტი ცზიანსუს პროვინციის ქალაქ ჩანჩუოუში მოხდა. რვა წლის სიაო იუი ბავშვთა საავადმყოფოში გულის მწვავე უკმარისობით მიიყვანეს. მისი მდგომარეობა უარესდებოდა და ექიმები მის გაცილებით უკეთესად მოწყობილ შანხაის საავადმყოფოში გადაყვანას გეგმავდნენ, მაგრამ ამ დროს ბავშვს წნევა მკვეთრად დაუვარდა, ხოლო გული, ელვისებური მიოკარდის გამო, გაუჩერდა. ექიმებმა მისი რეანიმირება შეძლეს და მისი მდგომარეობა დასტაბილურდა.

მაგრამ მეორე დილით ბავშვს არითმია დაეწყო და მისი მდგომარეობა ისევ გაუარესდა. ექიმები შანხაიში სპეციალისტებს დაუკავშირდნენ, რათა სპეციალური მოწყობილობა მიეტანათ სისხლისთვის ჟანგბადის მისაწოდებლად. სანამ სასწრაფო დახმარების მანქანა შანხაიდან მოდიოდა, ბავშვის მდგომარეობა სულ უფრო და უფრო უარესდებოდა: გული გაუჩერდა და სუნთქვა შეუწყდა, ხოლო წნევა იმდენად დაუვარდა, რომ ექიმები მის გაზომვას ვერ ახერხებდნენ.

იმისთვის, რომ ბავშვს სასწრაფოს მოსვლამდე ეცოცხლა, დაახლოებით 30 ექიმი და მედდა ხუთი საათის განმავლობაში რიგრიგობით უტარებდნენ გულის მასაჟსა და ხელოვნურ სუნთქვას. ამ ყოველივეს წყალობით ბიჭმა სპეციალური მოწყობილობის მოტანამდე ცოცხალმა მიაღწია.

– ჩვენ რაც შეგვეძლო, ყველაფერი გავაკეთეთ იმისთვის, რომ ბავშვი გადაგვერჩინა და ძალიან სამწუხარო იქნებოდა, ამას შედეგი რომ არ გამოეღო. მას მალე გამოჯანმრთელებას ვუსურვებთ, – განაცხადა ექიმმა ლი იამინმა.

ამ დროისთვის სიაო იუი შანხაის ბავშვთა საავადმყოფოში იმყოფება.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ჯოსვოხდი ↘



შვეულად: 1. კურდღელზე, მელაზე სანადიროდ გამოყენებული ინგლისური მწევარი; 2. შვედური მსუბუქი ავტომობილი; 3. ბოსტნეული მცენარე, მწვანილი; 4. ბერძნული ყველი; 5. ვულკანი სიცილიაში; 6. სრული უწესრიგობა, არეულობა, ქაოსი; 9. რაიმე უფლების ან რწმუბენის კანონიერების დამტკიცება; 10. ფრანგული არაყი; 11. თურქული თოჯინური თეატრის ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟი; 14. ბრაზილიური ცეკვა; 16. პროფესიონალი მონადირე; 18. მძლავრი ინტენსიური გამოსხივების მქონე კოსმოსური სხეული; 20. ძველებური ქართული ვერცხლის ფული; 21. რევაზ ლაღიძის ოპერა; 24. გემების სადგომი ნავსადგურში; 25. სილვესტერ სტალონეს ეკრანული როლი; 26. ფრანგული კოსმეტიკური ფირმა.

თარაზულად: 7. ამერიკელი პილოტი, რომელმაც პირველმა განახორციელა ამერიკიდან ევროპაში გადაფრენა; 8. ბალნეოლოგიური კურორტი აზერბაიჯანში; 12. ინგლისის ნავსადგური პა-დე-კალეს სრუტეში; 13. სათამაშო ქაღალდი; 15. მუზეუმი ფლორენციაში; 17. მწერალ გიორგი ახვლედიანის ლიტერატურული ფსევდონიმი; 19. ჩინური ფინიკი; 21. ჭადრაკის ფიგურა; 22. სოფლის მოხელე, მამასახლისის თანაშემწე ძველად საქართველოში; 27. ამერიკული საავტომობილო კონცერნი; 28. საფრანგეთში მოღვაწე ქართველი ოქრომჭედელი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა